საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 23 მაისი, 2013 წელი.

№94 (7221)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

„ნაციონალები“ სოფელს და გლეხს მიზანმიმართულად ანადგურებდნენ

4

„ნაციონალებმა“ თავის დროზე პარლამენტის აგრარული კომიტეტი იმ მოტივით დაშალეს, რომ ეს იყო „შევარდნაძის გადმონაშთი“ (თვითონ ვისები არიან?), სინამდვილეში კი ელიტას არ სურდა, მის შავ-ბნელ საქმეებს ბევრი მოწმე ჰყოლოდა.

ნატო-ევროპისკენ მიმავალი გზა ქართველების უკანალზე გადის?



3

წლები, რომლებიც მუდამ შენთან არის

9

ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავებას უცხოური მედიაც ეხმაურება

8

რა გეგმები აქვს ამერიკას რუსეთთან დაკავშირებით?

5

100 წლის ძია მიშა

10

დღის ამფრაზურა

გივი მოისწრაფიშვილი (ექიმი): – ძალიან დასანანია, რომ ჭეშმარიტი ქართველის აკაკი ბაქრაძის ევროპამოვლილი შვილი, ლაშა, ნაციონალებისგან დიდი გიორგი ლეონიძის მიერ დაფუძნებული ლიტერატურული მუზეუმის დირექტორად დასმული, ბრბოსა და ქუჩაში მოყიალე-მოწოწიალე ხალხს უწოდებს იმ ათი ათასობით ქართველს, ვინც ჩვენი ეროვნული ღირსების დასაცავად არ ერიდება მწარე, მაგრამ მართალი სიტყვის საჯაროდ თქმას.

როგორც ასეთ შემთხვევაში ხალხი ამბობს, ცხონებული აკაკი ბაქრაძე, ალბათ, საფლავში გადაბრუნდა ევროპისგან ავად წყალგადასხმული თავისი შვილის აშკარად ანტიქართული საქციელის გამო.

● **გადამრევს ეს მთავრობა, გაიძახიან, აბორტი უნდა ავკრძალოთო და „ახალი ეროვნული მოძრაობა“ კი ჩანასახშივე მოშანთეს! (ფეისბუკიდან)!**

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ პრემიერ-მინისტრი

პროცესების სამართლიანად წარმართვაში დაეხმარება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ქეთრინ ეშტონისა და შტეფან ფულეს ერთობლივ განცხადებას მიესალმება. როგორც პრემიერის განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოში მიმდინარე პროცესებით ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენელთა დაინტერესება მნიშვნელოვანია და ეს მთავრობას პროცესების სამართლებრივად გამართულად წარმართვაში დაეხმარება.

„მივესალმები ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის ქეთრინ ეშტონისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისრის შტეფან ფულეს ერთობლივ განცხადებას.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის მაღალი რანგის წარმომადგენელთა დაინტერესება და ყურადღება საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ.

დარწმუნებული ვარ, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები ყველა ზომას მიმართავენ, რათა თითოეულ საქმეზე პროცესი საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების სრული დაცვით წარიმართოს. ჩვენ გამოვრიცხავთ მიმდინარე სამართლებრივ პროცესებზე პოლიტიკური ასპექტების გავლენას რაიმე ფორმით. კიდევ ერთხელ მივესალმები საერთაშორისო საზოგადოებისა და ევროკავშირის განსაკუთრებულ დაინტერესებას. მჯერა, თქვენი ასეთი ყურადღება მხოლოდ დაეხმარება საქართველოს მთავრობას პროცესების სამართლებრივად გამართულად და სამართლიანად წარმართვაში“, — აღნიშნულია ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში.

◉ მთავრობა

თუ კირვალიძე უდანაშაულოა, იგი კვლავ მინისტრის პოსტს დაიკავებს

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობის ვაკანტურად დატოვება სურს. როგორც ივანიშვილმა ჟურნალისტებს ექსპერტებთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა, თუ ამით კანონმდებლობა არ დაირღვევა, მინისტრის თანამდებობა გამოძიების დასრულებამდე ვაკანტური დარჩება.

— ვფიქრობ, გამოძიების პროცესი 24 მაისამდე დასრულდება. პროკურატურაში ამისთვის მზაობაა. სასამართლომდე ვინმეს დანაშაულზე არ უნდა ვისაუბროთ. პროკურატურა ამტკიცებს, რომ საკმარისი მასალები აქვს და პროცესი მალე დასრულდება. თუ დავით კირვალიძის დანაშაულებრივი ქმედება არ იკვეთება, ჩემი დიდი სურვილია, იგი თანამდებობაზე დაბრუნდეს. იქამდე კი, ვიდრე ყველაფერი არ გაირკვევა და სიმართლე არ გვეცოდინება სამინისტროში განვითარებულ პროცესებში კირვალიძის მონაწილეობა-არმონაწილეობის შესახებ, კარგი იქნება ამ ადგილზე არავინ დაინიშნოს, — აღნიშნა ივანიშვილმა.

კონსტიტუციის თანახმად, პრემიერ-მინისტრს სოფლის მეურნეობის მინისტრის დანიშვნის ვადა 24 მაისს ეწურება.

კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის წევრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი მთავრობის ახალ წევრს, პრეზიდენტის თანხმობით, ორი კვირის ვადაში ნიშნავს.

ინტერპრესი

◉ ამბობენ, მართალია?

ხელისუფლება სააკაშვილისგან მიტაცებული 4 მილიარდის დაბრუნებას მოითხოვს

ამ ბოლო დღეებში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ხელისუფლებამ ულტიმატუმი წაუყენა სააკაშვილს — თუ 9 წლის მანძილზე უკანონოდ მითვისებულ 4 მილიარდ ლარს არ დააბრუნებ, სამუდამო პატიმრობას გამოჰკრავ ხელსო.

მოგეხსენებათ, როგორც უცეცხლოდ კვამლი არ ჩნდება და უძილოდ — სიზმარი, ისე არც ხალხის მითქმა-მოთქმაა ძალიან ხშირად უსაფუძვლო.

იქნებ თქვენმა რედაქციამ დააზუსტოს ეს ხალხში დარხეული ხმა და სისწორე აცნობოთ ჩვენს სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე საზოგადოებას?

ზვიად არველაძე,
ყოფილი პოლიციელი

◉ ვიზიტი

რას მოუტანს ქართულ ეკონომიკას ხადურის ბიშკეკური ვოიაჟი?

ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების გარდამავალი პერიოდი და სამომავლო პერსპექტივები“.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, ღონისძიება საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, შვეიცარიის კონფედერაციის ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნოს, ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობისა და ცენტრალური ბანკის ორგანიზებით ბიშკეკში გაიმართა.

კონფერენციის მონაწილეებმა კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში გარდამავალი პერიოდი, უმთავრესი ეკონომიკური პრიორიტეტები და გამოწვევები განიხილეს.

კონფერენციის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა მინისტრი შეხვდა მსოფლიო ბანკის რეგიონალურ დირექტორებს საროჯ კუმარ ჯას და ჰენრი კერალის, ასევე შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ჯონათან დანს.

გაიმართა ნოდარ ხადურის შეხვედრა ყირგიზეთის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრ ოლგა ლავროვასთან.

ფინანსთა მინისტრს ორმხრივი შეხვედრები ჰქონდა ყირგიზეთის ეკონომიკის მინისტრ ტემირ სარიევთან, ცენტრალური ბანკის მმართველ ზინა ასანკოევასთან, მთავრობისა და პარლამენტის წევრებთან. შეხვედრებზე განიხილეს საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობის საკითხები.

მოლაპარაკებებისას აღინიშნა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიურად განვითარების აუცილებლობა, დადასტურდა ყირგიზეთს ხელისუფლების მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლებისა და ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკისადმი.

ინტერპრესი

◉ ინტერნეტიდან

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი, ვკვდები სიცილით“!

შალვა რამიშვილის ფეისბუქზე გამოქვეყნდა ჩიორა თაქთაქიშვილის აზრი პრეზიდენტის გამოსვლასთან დაკავშირებით:

„მეგობრებო, მოუსმინეთ პრეზიდენტის განმეორებით განცხადებას 17 მაისთან დაკავშირებით? ძალიან ვწუხვარ, რომ ისეთი სერიოზული გამოცემა, როგორიც ტაბულაა, ვერ აცდა მიკერძოებულ და კონტექსტიდან ამოგლეჯილ ინტერპრეტაციას. თუ მხოლოდ ამ ინტერპრეტაციას დავუჯერებთ, პრეზიდენტმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ლგბტ საზოგადოების გამოხატვის თავისუფლება. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ეს მაინც ასეა, საკმარისია, გაიხსენოს პრეზიდენტის პირველი გამოსვლა მაშინ, როცა პრემიერი და მარგველაშვილი ჩირგვებში იმალებოდნენ და ქუჩებში ისევ ძალადობა გრძელდებოდა. პრეზიდენტის გამოსვლა ამ საკითხზე ბოლომდე ვინც ნახა, ცხადია, რომ ის ამბობს, რომ მთავარი ის კი არ არის, რა დროს და რა ადგილას იმართება აქცია, არამედ ის, რომ მოძალადეები უნდა დაისაჯონ. ამის შემდეგ კი მთელი გულმოდგინებით განმარტავს, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს განსხვავებული ჩაცმულობის, ვარცხნილობის თუ სექსუალური ორიენტაციის გამო ადამიანების მიმართ სიძულვილს ან სხვა სახის დისკრიმინაციას.

ვწუხვარ, რომ ამ შემთხვევაში აი-პი-ენ-ი უფრო პროფესიულ ინფორმაციას ავრცელებს, ვიდრე ტაბულას რედაქტორი. for.ge-ს ჯერ ვერ გავეცანი“, — ამბობს ჩიორა თაქთაქიშვილი. და აი, კომენტარებიც:

„დღეს, ალბათ, ყველაზე სასიამოვნოდ საცქერი იქნება თუთბერიძე — მერაბიშვილი დაჭერილია, სააკაშვილი — გამიჯნული, ჩერგოლეიშვილი — განრისხებული, ადეპტები — დაბნეული, ფანატები — სუიციდური. ამ დღეს ველოდი, მოვესწარ, ვიცინი, ვკვდები სიცილით“!

„რა ხდება ამათ გვერდებზე. აზრზე მოდი, ჩერგო შემეცოდა“!

„ვანოს კაცი არ ექომაგება. რა საინტერესოა“.

„ოჰოჰოოჰოჰო, როგორი აჭრილი ბაზარია როგოოორიი!! მიშამ იციიით რა თქვაა, ისეაა არაა, ეგ კი არა, აიიი იცით რა, მმჰჰჰ... არა, მოიცა, აგიხსნით, ეგრე კი არაა, აი, აი, აი. და ცხვირში თითით წარმოიდგინეთ თან“.

„ჩიორას ცოტა ხანში საკენკის დამყრელიც აღარ დარჩება არავინ“...

„დაერივნენ ერთმანეთს“.

„ყველა თავისას მიიღებს!!! დაილოცოს ღმერთო,შენი სამართალი!!! მიეცი კეისარს კეისრისა“!

„ძააააანნნნ ნაციონალური დაკა-დაკა დაიწყო“

„როგორ შეიძლება ჩიორას ენა ჩავაგდებინოთ და გამოცარიელებული თვალებით აღარ ვხედავდეთ“.

„დეერვინენ ერთმანეთს კდემამოსილი ნაცსასტავი.“?

„ვწუხვარ, რომ ამ შემთხვევაში აი პი ენ-ი უფრო პროფესიულ ინფორმაციას ავრცელებს, ვიდრე ტაბულას რედაქტორი“. „ეს ქალბატონი ინტერპრესნიუსზე ამბობს ამას“?

„ჩიორა უკანასკნელი „მოჰიკანია“. მებრალება ყველა „ჩიორა“...

„ეს არ ემიჯნება, ერთგულია“...

„რაც არ უნდა აპრავოთ, ნაცებო.....თქვენი პრეზო და თქვენი თავი...მაინც დარხეული გაქვთ...არაფერი თქვენ არ გეშველებათ“!

ნატა ნიბლაძე

◉ ფეისბუქიდან

წერტილოვანი ფრაზები

● Tamara chergoleishvili: „პრეზიდენტო, თქვენ წუწკი ხართ და, გარდა იმისა, რომ წუწკი ხართ, ინსტინქტებიც დაგჩლუნგებიათ. ვერ ხვდებით, რომ ეს განცხადება ხელისუფლებაში ვერ დაგაბრუნებთ“

● იგივე ვანო, იგივე გაღლეტილი, იგივე ლევანი, იგივე ხერხემალა, იგივე ჟენია-მალადოი.

● მდაააააა)) ახალაიები სულ ორჯერ ჰყავს ნანახი, ვანო სამჯერ... მოკლედ, ნაციონალების სასამართლო პროცესს „შეხვედრებისა და გაცნობის“ სააგენტოს ფუნქცია ექნება.... ეუფ, იქნებ საყვარელიძეც დავაქორწინოთ... :))

● ურემი უძახეთ თქვენ და კი დაიწყო კოხტად ნაციონალების ჩამორიგება სკოლის ავტობუსივით.

● ნაციონალებიდან მარტო კოკი იოთანამათათანაშვილი დარჩება „სვაბოდაზე“, გულით რო უნდოდეთ, ვერ ჩაუშვებენ, გვარს ვერ ამბობენ.

● ვკითხულობდი ეხლა ფეისზე გამოქვეყნებულ აღტაცებულ პოსტებს მერაბიშვილისა და ჭი-

აბერაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით და წარმოიდგინეთ ტანში გამაჟრიალა....რამდენად უნდა შეაძულო ადამიანებს თავი, რომ შენი დაჭერა გაუხარდეთ...

● ამ ახალგაზრდა, დასავლურად განათლებულ პოლიტ-უფელება-დემოკრატების თავში მარტო ვენეციის კომისიის დასკვნებია, თუ რწყილი და ჭიანჭველაც არიან სადმე მიყუჭულები?

● ნაცმოძრაობას ტორნადო „კბილამ“ გადაუარა და ჯერჯერობით ორი ლიდერი გლდანისკენ გააქროლა.

● ვიცით ვანოო, რომ გიჭირს, ძნელია პირველი ღამე :))

● ხათუნა გოგორიშვილმა ჭიაღუაშვილი ჩემი მეგობარიაო..... ხმებიპარიავ, შენ რა მეგობრობაც იცი, საწყალ ჟვანიას უკვე დაუმტკიცე,!!! აშენებულა ჭიაღუა, თუ მაგის მეგობარი ხარ))

● ცოტა ხანში გიგისაც მოგისვამენ გვერდით :)) მერე ატარეთ მანდ გეიაღლუმები და ირბინეთ ფოჩიანი მათრახებით :) :))

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◉ სარედაქციო ფოსტიდან

ვითომ გვინდა მარადიული დეპუტატები?!

თუკი პრეზიდენტს ვირჩევთ მხოლოდ ორი ვადით, რა საჭიროა ერთი და იმავე ხალხის განუსაზღვრელი ვადით ყოფნა პარლამენტში? მართალია, კანონშემოქმედების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს დეპუტატის გამოცდილებას და არც კონსტიტუცია ზღუდავს დეპუტატის უფლებამოსილების ვადას, მაგრამ ნამდვილად მისახედია ეს საქმე. მე უკვე პირადად „ტვინი მეკეტება“, როცა, ბოლო ოცი წელიწადია, თითქმის ყოველდღე გვმოძღვრავენ სატელევიზიო თუ რადიოეთერიდან ხათუნა გოგორიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, გიგი წერეთელი, გია ბარამიძე, შოთა მალაშხია, დავით დარჩიაშვილი, გიორგი გაბაშვილი...

იქნებ, ბოლოს და ბოლოს, დეპუტატებისთვისაც დაწესდეს გარკვეული ვადა. რა, არ შეიძლება, რომ ახლა სხვაგან გამოიყენონ ამ ყელში უკვე ქონმოწოლილმა, აშკარად გაყვინიზებულმა ადამიანებმა თავიანთი პროფესიონალიზმი?! სხვა არა იყოს რა, ამ ხალხის მარადიული დეპუტატობით ხომ ხელი ეშლება პარლამენტის მუდმივ ჭეშმარიტ განახლებას!

ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, ასე ფიქრობს ჩვენი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა.

ნესტან მარდალეიშვილი,
პედაგოგი,
თბილისი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



ნატო-ევროპისკენ მიმავალი გზა ქართველების უკანალზე გადის?

17 მაისს თბილისში ვერ შემდგარი გეი-აღლუმის შემდეგ მხოლოდ ამ დასკვნის გამოტანა შეიძლება! და ეს რომ ასეა, ამის საილუსტრაციოდ მცირე ისტორიული ექსკურსით დავიწყოთ, ანუ, ერთგვარი მიმოხილვა იმისა, რაც ამ ბოლო წლებში დამიწერია პედერასტების შესახებ:

მგონი შარშანწინ გააუქმა დემოკრატმა პრეზიდენტმა ობამამ ამერიკის (იგივე ნატო) ჯარში ჰომოსექსუალების მსახურების ამკრძალავი კანონი, რომელიც თავის დროზე რესპუბლიკელების მიერ იყო მიღებული. შარშან კი მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა, ქალბატონმა ჰილარი კლინტონმა, არც მეტი, არც ნაკლები, ზოგადად სექსუალურ უმცირესობათა, ლგბტ-პედერასტების უფლებების დაცვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთერთ უმთავრეს პრიორიტეტად გამოაცხადა, ხოლო იგივე ბარაკ ობამამ ამერიკის ფინანსური დახმარების ალბათობა ამა თუ იმ ქვეყანაში ამ უფლებების დაცვის ხარისხს მიაბა და იქვე ყოველი წლის მაის-ივნისი მსოფლიო პედერასტების ორთვიურად გამოაცხადა, როდესაც მთელს მსოფლიოში ინტენსიურად უნდა გაიმართოს გეი-აღლუმები!

ის დღე იყო და გაგულავდნენ ამერიკის მიერ შეგულიანებული „ქათმები“ და ჯერ რიგაში ჩაატარეს სრულიად ბალტიის ქვეყნების გეი-პარადი, რომელსაც წინ ამერიკის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ელჩები მიუძღვოდნენ, რასაც უილაჯობისგან გამწარებული ლატვიელები უსასოოდ უყურებდნენ, ხოლო პენტაგონში, შარშან პირველი ლესბოსელი დედაკაციც აკურთხეს გენერლად!

ამ „პროგრესმა“ შეაგულიანა ქართველი პედერასტებიც და შარშან, 17 მაისს პირველი გეი-პარადის ჩატარებაც სცადეს, რომელიც კინოს სახლთან ჩაუშალეს უბრალო გამვლელებმა, რომელთა შორის მეც გახლდით და მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჯერ კიდევ ნაცები ზეობდნენ, იმჟამინდელმა პოლიციამაც კი, რომელიც უფრო „ესესი“ იყო, არ იკადრა ქართველ საზოგადოებაზე პედერასტების გამო ხელის აღმართვა...

აგერ სულ ახლახან საფრანგეთი გაპედერასტდა ოფიციალურად , როდესაც 23 აპრილს საფრანგეთის პარლამენტმა დაამტკიცა კანონი ერთსქესიანი ქორწინებების და ასეთი „ოჯახებისთვის“ შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესახებ!..

ამას დაუმატეთ ისიც, რომ ივანიშვილის ხელისუფლებამ ვერაფრით მოიგო სააკაშვილზე შეყვარებული დასავლეთის გული, რომელიც ქართული ოცნების ყოველ ნაბიჯს გამადიდებელი შუშით უყურებს, ხოლო პრემიერის ყოველ სიტყვას ღრუბელივით ისრუტავს და ქართველმა გეებმაც, უფრო სწორედ იმ ენჯეოებმა, რომლებიც პირდაპირ დასავლეთიდან ფინანსდებიან საქართველოში ლგბტ-პედერასტების მფარველობის გამო, ერთი სიმღერისა არ იყოს, ჩათვალეს, ახლა ჩვენი დროა, დიდ ხანს ველოდითო, ღარიბაშვილის პოლიცია დაგვიცავსო და კუდზე ქათამს უხმეს 17 მაისს რუსთაველზე!

რაც მოხდა, ყველამ ვიხილეთ ვინც იქ ვიყავით და მერეც – ტელევიზიებით, რომელთაგან ერთი, „რუსთავი-2“ პირდაპირ და უწყვეტ ტრანსლაციას ახორციელებდა, რაც აშკარა პროვოკაცია იყო, რადგან ამანაც განაპირობა გეი-პარადის მოწინააღმდეგე ხალხის არნახული რაოდენობის მისვლა მრავალ ჭირნანახ რუსთაველზე. მოკლედ თუ ვიტყვით, ქართველმა ერმა იმ დღეს საკუთარი ღირსება დაიცვა ჩვენი სამღვდელოების მეთაურობით!

თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ დღეს ქართველმა ხალხმა ერთგვარი რუბიკონი გადალახა და მტკიცედ განაცხადა, რომ იმ ჯინს, რომელიც 1 ოქტომბერს ამოვუშვით ბოთლიდან, უკან ვერავინ ჩააბრუნებს და რომ ქართველი ხალხი მზად არის, საკუთარი ეროვნული, ტრადიციული, მართლმადიდებლური ღირებულებები ნებისმიერ ფასად დაიცვას!

თუმცა, ლიბერასტ ქართველებსაც რა დალევს და მათაც გააკეთეს უგვანი კომენტარები „მწერალი“ ლაშა ბუღაძე იქნება ეს თუ გიჟპოეტა, გამოქეშებული კოტე ყუბანეიშვილი, რომელმაც „მართლმადი-დებილები“ გვიწოდა და ქართველი აღარ (ნეტავი როდის იყო, როო?) ვარ და საქართველოში ცხოვრება აღარ მინდაო (თუ სადმე გადავეყარე, პირობას ვდებ მკითხველების წინაშე, პირველის გამო რომ სხვანაირად ვაგებინებ პასუხს, ხოლო მეორის გამო, როგორც რუსები იტყვიან – „სკაწერწიუ დოროგა“, ჩვენც ახლა მაგის წასვლით, დედა ენას დავკარგავთ) აღარაფერს ვიტყვი ბოკერიას კნეინა ჩერგოლეიშვილზე, მით უმეტეს – თინა ხიდაშელზე, რომელსაც, ჩემდა გასაკვირად, მხარი ელისო ჩაფიძემ დაუმშვენა – **მე კი იმ დღეს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ერთადერთი პატრონი ქართველი ერისა მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეა, გნებავთ მეორე ილია!!!**

„რუსთავი 2“-მა თავის საკვირაო P. S. ძირითადად 17 მაისის აქციას მიუძღვნა, სადაც აშკარა ირონიის თანხლებით შხამს და ბალღამს ანთხევდა ნატოს დვორნიაშკად მონათლული თენგიზ გოგოტიშვილი და ასევე ბატონი რეზო ამაშუკელის „ნათლული“ რუსთავი 2-ის „კოხტაპრუწა“ დავით კიკალიშვილი!

მათ პარალელები გაავლეს, ერთი მხრივ, საფრანგეთთან, თუ რა ცივილიზებულად იქცევიან ფრანგები ჩვენგან განსხვავებით, მსგავს აქციებზე და, მეორე მხრივ, – მოსკოვ-ვორონეჟთან, როგორც ჩვენნაირ „ველურებთან“ **და ამას უნდა ვუპასუხო, რათა მთავარი სათქმელი ვთქვა...**

თქვე ნაძირლებო, „ერისიონის“ მოსკოვში გასტროლს ქართველი ბიჭების საფლავებზე ცეკვა უწოდეთ და გეი-აღლუმის მცდელობის წინა დღეს ქაშუეთის ეკლესიაში ავღანეთიდან გადმოსვენებულ 3 კუბოსთან 20 მეტრში გეი-პარადი რომ გამართულიყო ამას რა ერქმეოდა?

რაც შეეხება ცივილიზებულ საფრანგეთს, მასეთი „ცივილიზებულობით“ მიაღწიეს იმას, რომ ფრანცია მე-14 ქვეყანა გახდა მსოფლიოში, სადაც ერთსქესიანი ქორწინებები დაკანონდა და „კჩორტუ“ ეგეთი ცივილიზებულობა!

სამღვდელოება სულ უფრო ხშირად საუბრობს, ეს გარყვნილება (პედერასტობა) დამპალი დასავლეთიდან შემოდისო. რა, ტყუილია? სწორედ ამაშია მთავარი პრობლემა და არა იმაში, ჩაივლის თუ არა თუნდაც რამდენიმე ათეული პედერასტი რუსთაველზე.

„ველურ“ რუსეთში კი, სადაც ჩვენსავით არბევენ გეი-აღლუმებს, ერთსქესიან ქორწინებებს არანაირი პერსპექტივა (17 მაისის შემდეგ, იმედია, არც საქართველოში) არა აქვს. ჰოდა, რა სჯობია ახლა რუსული „ველურობა“ თუ ფრანგული „ცივილიზებულობა“?

ჰოლანდია შოკირებულია თბილისში მომხდარით და ნიდერლანდებში ჩვენი ელჩი დაიბარეს ახსნა-განმარტებებისთვისო – **თქვე უნამუსოებო, თქვენი სიძის, მიშა სააკაშვილის მოწყობილმა 7 ნოემბერმა, ან ქუჩებში დახვრეტილმა ბიჭებმა, ან 26 მაისის სასაკლაომ რატომ არ დაგშოკათ? ერთი სიტყვა რომ არ დაგცდენიათ და ახლა ბინძური მამათმავლების გამო რომ აიქაფეთ პირები. ან გაგონილა იმისთანა ამბავი, რომ 16-ში, ანუ წინა დღეს მთელი დასავლეთის დიპკორპუსი ხვდება პედერასტების დამცველებს და ღიად უჭერენ მხარს იმაში, რაც თავადაც იციან, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ზიზღამდე მიუღებელია!**

რა არის ეს, თუ არა საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა?..

ან რას ნიშნავს ამერიკის ელჩის უაპელაციო განცხადება, რომ ვინც იმ დღეს რუსთაველზე იყო, ნატოს მოწინააღმდეგეაო? რას და ერთადერთ რამეს – ნატო გინდებლარიენ? მაშინ აუცილებლად კურტუმო უნდა აქნიო! ჰოდა, აი, ბუნებრივად მივადექით მხოლოდ წერილის კი არა, საერთოდ ჩვენი ყოფის მთავარ თემას...

ჩვენი სწრაფვა ევროკავშირ-ნატოში იმხელა ტყუილია, რომ აღა გეურქას ქურქის ზღაპარი მონაგონია. ამ ტყუილს ლაპარაკობდნენ ნაცებიც და ამასვე აკეთებენ ოცნებაშიც, თუმცა, პირადად ბიძინა ივანიშვილი რას ფიქრობს, რეალურად ამას ხმამაღლა ვერ, ან არ იტყვის ჯერჯერობით.

საქართველოს ნატოში და მით უმეტეს დაშლისპირას მყოფ, კრიზისით მოცულ ევროკავშირში არავინ არასდროს მიიღებს და ეს სიმართლე ერთხელ და სამუდამოდ მკაფიოდ უნდა ითქვას!

სამაგიეროდ ამ ფუჭი დაპირებების აკომპანემენტით გვაძალებენ, თავს გვახვევენ გეი-პარადებს, სექტანტობას, ერთსქესიან ქორწინებებს და სხვა ნეოლიბერალურ ე.წ. ფასეულობებს“, როგორც ტესტს მთელი ქვეყნისთვის „დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე“ და თუ ავყევით, ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩენთ, რომ ევროპა თუ ნატო გვერდზე დაგვრჩება. ხელში დაკანონებული ერთსქესიანი ქორწინებები, ანუ, გაპედერასტებული, გახლისტებული, ანუ გადაჯიშებული საქართველო შეგვრჩება, რაც აგრერიგად ეოცნებებათ თავისუფლების ინსტიტუტში და მის სატელიტ ე.წ. ენჯეოებში!

ჰოდა, მერე სოფლის მეურნეობის კი არა, ვაზელინის წარმოების აღორძინება დაგვჭირდება, რადგანაც ნახევარი საქართველო უკანალის მიმცემი გახდება, ხოლო ნახევარი ამ სიბინძურის უდრტვინველად ამტანი...

ერთი წუთით დავუშვათ, რომ მართლაც მიგვიღებენ ნატო-ევროკავშირში თუ ერთსქესიან ქორწინებებს დავაკანონებთ – **ამ ფასად, ჩვენი შვილების მომავლის ფასად გვიღირს ეს?**

რა თქმა უნდა უმრავლესი ქართველობის პასუხი უარყოფითი იქნება, რადგანაც დიდი ანა კალანდაძის არ იყოს – „საქართველო არის ესე“. ქვეყანას, რომელსაც თუ ასე გააგრძელეს ჩვენმა ამერიკელ-ევროპელმა „მეგობრებმა“, განსხვავებით წინარე საუკუნეებისგან, ისლამის კი არა, პედერასტიის ოკეანეში დაღრჩობის რეალური საფრთხე ემუქრება და ჰოი „საკვირველებავ“, მსგავსად წინარე საუკუნეებისა, ეროვნული მენტალობის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად ისევ რუსეთთან მჭიდრო კავშირი მოჩანს, თორემ წყალს და მეწყერსაც წაუღია ნებისმიერი სამხედრო ბლოკი, თუ ქართველი კაცი გახლისტდება და გაპედერასტდება!

რუსეთს ყველაფერი შეიძლება დააბრალო, მაგრამ კაცმა კაცი მოიყვანე ცოლად და ქალი ქალზე გათხოვდიო, არასოდეს დაუძალებია ვინმესთვის, მით უმეტეს ჩვენთვის, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რუსეთში მართლმადიდებლური სარწმუნოებაა დომინანტური რელიგია და ასეთად დარჩება მუდამ...

დავით მხეიძე

P. S. ლიბერასტული საზოგადოების მოთხოვნის გამო დააკავეს პედერასტების „დამწიოკებელთაგან“ 4 პირი, რომლებიც იმავე დღეს 100-ლარიანი ჯარიმებით „დასაჯეს“. აბა რა უნდა ექნათ, იმ ფონზე, როცა კაცისმკვლელი სადისტები ვერ დაუპატიმრებიათ, პედერასტების გამო ქართველი ვაჟკაცების დაპატიმრებას ქართველი საზოგადოება უდრტვინელად მიიღებდა?

აქვე, ცნობილი გახდა, რომ დააკავეს ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ჭიაბერაშვილი, რის გამოც, თავად ვარ მოწმე, თუ როგორ ულოცავდნენ ერთმანეთს რიგითი ქართველები.

ასეა ეს და არ დამიწყონ ახლა „ჰუმანისტებმა“ მორალის კითხვა, მაგრამ რა შუაშია წერილის მთავარ თემასთან ვანო და ზურა? შუაში კი არა, ორივენი თავში არიან, რადგან პედერასტობა მხოლოდ უკანალს გითახსირებს, პედერასტია ეს მსოფლმხედველობა, გნებავთ ცხოვრების წესია და ვანო მერაბიშვილი იქნება, ზურა ჭიაბერაშვილი თუ ზოგადად ნაციონალური მოძრაობა, ყველანი ისეთივე პედერასტები არიან, რომელთა აღლუმის მცდელობა 17 მაისს რუსთაველზე, ჩანასახშივე აღკვეთა მისმა უდიდებულესობა ქართველმა ერმა და ასე იქნება მარად, ვიდრე ქვეყანა ჰგიეს, ანუ, უკუნისამდე!!!

დ. მ.

◎ ალიან-ჩალიანი

2014 წლის ბოლომდე 86 000-ზე მეტი ოჯახი გაზიფიცირდება

ენერგეტიკისა და გაზგამანაწილებელი კომპანიების მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, საქართველოს მასშტაბით 2014 წლის ბოლომდე 86 000-ზე მეტი ოჯახი გაზიფიცირდება. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ენერგეტიკის მინისტრმა, კახი კალაძემ განაცხადა. მისი თქმით, გეგმის განხორციელების შემდეგ, გაზიფიცირებული იქნება დამატებით 252 სოფელი და ახალი ინფრასტრუქტურის შექმნაში ათობით მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება.

გაზიფიცირების სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგს თავად სამინისტრო განახორციელებს. ამასთან, დეტალური ინფორმაცია იმ სოფლების შესახებ, სადაც გაზიფიცირება იგეგმება, ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსდება.

2013 წელს დაგეგმილი გაზიფიცირების სამუშაოები რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება: აჭარა – 2450 აბონენტი; გურია – 4545 აბონენტი; იმერეთი – 25 428 აბონენტი; კახეთი – 6579 აბონენტი; მცხეთა-მთიანეთი – 3671 აბონენტი; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 17 277 აბონენტი; სამცხე-ჯავახეთი – 9782 აბონენტი; ქვემო ქართლი – 9868 აბონენტი; შიდა ქართლი – 6589 აბონენტი. სულ – 86 189 აბონენტი.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ᲛᲘᲬᲐ – ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲠᲩᲔᲜᲐᲚᲘ

„ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ“ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲒᲚᲔᲮᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ

2004 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ, მას შემდეგ, რაც „ნაცები“ ხელისუფლებაში მოვიდნენ, ქვეყანაში მიწის ერთიანი ბალანსის შედგენა და დამუშავება შეწყდა. აღარ არსებობს მიწის აღრიცხვისა და კონტროლის ერთიანი მექანიზმი. მიწის გასხვისების ცალკეული შემთხვევები სრულ სურათს ვერ ხატავს, რამაც საგანგაშო სახე მიიღო. ეს იყო ვარდოსნების მიზანმიმართული პოლიტიკა ქართული სოფლისა და გლეხის განადგურებისა. მათი მიზანი იყო სოფლის მოშლა და ძირძველი მოსახლეობის აყრა, რათა შემდგომ გამონთავისუფლებული მიწები გაესხვისებინათ, გრძელვადიანი იჯარით გაეცათ, – ამბობენ ექსპერტები.

გრძელვადიანი იჯარით მიწის გაცემამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები სააკაშვილის რეჟიმის ბოლო წლებში მიიღო. გაიცემოდა საძოვრები 49-წლიანი იჯარით ისეთ რეგიონებშიც კი, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საარსებო წყარო მეცხოველეობაა.

სპეციალისტთა განმარტებით, ასეთ მიწათმფლობელთა 70-80 პროცენტი სავარგულებს არ იყენებს, მაგრამ არც გლეხებს ასარგებლიანებს.

ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში 35 ჰა საძოვარი კერძო მფლობელობაში გადაეცა ვინმე ბესიკ ფეიქრიშვილს. მიწა დაუმუშავებელია, მასზე არც რაიმე მშენებლობა მიმდინარეობს, მაგრამ მფლობელი ადგილობრივთ საქონლის შეყვანის უფლებას არ აძლევს. გავაზელებმა რამდენიმე საპროტესტო აქცია მოაწყვეს. ამბობენ, რომ საძოვარი უკანონოდაა გასხვისებული და დახმარებას ივანიშვილისაგან ითხოვენ, ყვარლის რაიონის გამგეობაში კი აცხადებენ, რომ „საკითხი სასამართლოს გზით უნდა გადაიჭრას“.

ძველი თელავის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის გიორგი მოსიაშვილის ინფორმაციით, მთელს კახეთში ანალოგიური მდგომარეობაა. განსაკუთრებით მძიმე კი თელავში, სანიორესა და ჯუღაანის თემებში, სადაც საარსებო წყარო მხოლოდ მეცხოველეობაა.

იმერეთში, ვანის რაიონში „მეპურე ვერამ“ 65 ჰა მიწა გაასხვისა. აქ ძირითადი დარგი მეცხოველეობაა. ამ მიწით 3 ათასი ოჯახი ირჩენდა თავს, რომლებიც ნაცებმა საშიმშილოდ გასწირეს.

როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ირწმუნებიან, მიწები ყველაზე დიდი რაოდენობით დედოფლისწყაროს რაიონშია გასხვისებული. მათი უდიდესი ნაწილის მფლობელები უცხოელები არიან – არაბები, ინდუსები და ბულგარელები.

სოფელი დიცი გორის რაიონშია. იქ, სადაც საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოსა და „ოსეთს“ შორის საზღვარი გაავლო და მავთულხლართი დააყენა. როდესაც სწორედ ამ მავთულხლართს მიმდებარე (ქართული მხრიდან) ტერიტორიის გასხვისების საკითხი დადგა დღის წესრიგში, სპეციალისტები, ექსპერტები ერთხმად ურჩევდნენ სააკაშვილსა და ქობალიას, ხელი აეღოთ ამ განზრახვაზე და მიწა ადგილობრივების მფლობელობაში დაეტოვებინათ რადგან გამორიცხული არ იყო, ახალ მეპატრონეს საძოვრები მავთულხლართს იქით მცხოვრებლებზე გაეყიდა და შესაბამისად საზღვარიც გადმოწეულიყო. დიცელები კი თავიანთ მიწას არანაირ ფასად არ დათმობდნენ. მაგრამ მაშინ, როდესაც პირველი ოქტომბრის არჩევნები ნაცებს უკვე წაგებული ჰქონდათ და მათი მინისტრები ახალი კაბინეტის ჩამოყალიბებამდე მოვალეობის შემსრულებლები იყვნენ, ვერონიკა მინისტრმა მიწა გორში რეგისტრირებულ შპს „მადლზე“ გაასხვისა.

გამართლდა სპეციალისტთა ვარაუდი და შიში. „მადლმა“ თავის მხრივ მიწა 4-5 დღეში ინდუსებს მიჰყიდა. ამის შესახებ ადგილობრივებმა არაფერი იცოდნენ. ცოტა ხნის წინათ, როდესაც ახალი მფლობელები მიწის დასამუშავებლად მივიდნენ, დიცელებმა ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს მათ. მაგრამ რა გინდა – ნასყიდობის დოკუმენტაცია წესრიგშია. სოფლელები იძახიან, ყველაფერი ისე ჩქარა და ჩუმად მოხდა, როგორც ჩანს, ბევრი კანონდარღვევა უნდა იყოსო და საქმეში სამართალდამცავების ჩართვას მოითხოვენ. მანამდე კი არ აპირებენ ინდუსების მიწასთან მიშვებას.

საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში, მრავლად არიან პირველ ლედად წოდებულის ჯიშ-ჯილაგის წარმომადგენლები, სამხრეთ აფრიკიდან გამოძევებულ-გამოქცეული – ბურები. თავის დროზე სააკაშვილი ამაყად აცხადებდა იმ მილიონიან ინვესტიციაზე, რაც ბურებმა ჩამოიტანეს (სად წავიდა ეს ინვესტიციები?). მაგრამ ვის ხარჯზე მოხდა ეს. ქართველი გლეხის, რომელიც ამ მიწიდან აყარეს, ან საძოვარი, ტყე, მდინარე წაართვეს. ამგვარ ყოფაშია დღეს ქვეყნის სოფლების უმეტესობა.

ზოგიერთი სოფლის მოსახლეობა, უნამუსო სააკაშვილის ხროვამ იქამდეც კი მიიყვანა, რომ ივანიშვილისა და მთავრობისაგან, თავის ქვეყანაში, საკუთარ სოფელში ითხოვს შუამდგომლობას ახალ მფლობელებთან, რომ საძოვრებით სარგებლობის უფლება მისცენ.

„ნაციონალებმა“ თავის დროზე პარლამენტის აგრარული კომიტეტი იმ მოტივით დაშალეს, რომ ეს იყო „შევარდნაძის გადმონაშთი“ (თვითონ ვისები არიან?), სინამდვილეში კი ელიტას არ სურდა მის შავ-ბნელ საქმეებს ბევრი მოწმე ჰყოლოდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ალექსანდრე ლომოური ხელისუფლებას ურჩევს შეიქმნას აგრარულ საკითხთა საპარლამენტო კომისია არასამთავრობო სექტორისა და სპეციალისტთა ჩართულობით, რომელიც შეისწავლის წინა ხელისუფლების შეცდომებს, გამოასწორებს და ქართულ სოფელს ღირსეული და ნორმალური განვითარების შესაძლებლობებს მისცემს.

ცოტა ხნის წინათ პარლამენტის რეგიონული თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ერეკლე ტრიპოლსკი და მისი პირველი მოადგილე გია ჟორჟოლიანი გამოვიდნენ საკანონმდებლო ინიციატივით – სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ, რომლის მიხედვითაც სოფელი ყალიბდება, როგორც ტერიტორიულ საფუძველზე შექმნილი ადმინისტრაციული საზღვრის მქონე იურიდიული პირი. მას ენიჭება უფლება, ფლობდეს ქონებას, დადოს გარიგებები, მიიღოს შემოსავლები, სასამართლოში წარსდგეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ.

საზოგადოებრივ თვითმმართველ ერთეულს შესაძლებლობა ექნება განახორციელოს საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების მართვა. ბიუჯეტის შედგენაში, თავად გადაწყვიტოს სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

მის მმართველ ორგანოდ საერთო კრება, ამ კრების წარმომადგენელთა საბჭო და საერთო კრების თავმჯდომარე განისაზღვრება. საერთო კრება თვითმმართველი ორგანოს უმაღლესი ორგანო იქნება, რომელიც ყველა, სოფლის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეს გაერთიანებს.

თითქოს სოფელს რაღაც უნდა ეშველოს. მაგრამ რა ეშველება წინა ხელისუფლების მიერ გაყიდულ მიწებს, და მოეთხოვება თუ არა ამისათვის ვინმეს პასუხი?

ᲖᲐᲖᲐ ᲑᲘᲚᲘᲮᲝᲫᲔ.

P. S. 2012 წლის 26 ივნისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის №3/1/5/512 გადაწყვეტილებით, გაუქმდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული ყველა შეზღუდვა უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. პარლამენტარ გიგლა აგულაშვილის განმარტებით, მაშინ, როდესაც ქვეყანაში მიწის ბაზარი ჩამოყალიბებულია, შესაბამისად ფასებიც არარეალურია.

კანონმდებლობით, უცხოელებზე მიწის გასხვისება არ შეიძლება, ვიდრე 6-თვიანი შეთავაზება არ დაფიქსირდება ადგილობრივ მოსახლეობასთან. ჩვენს რეალობაში კანონის ეს მუხლი ყველა სოფელთან მიმართებაში დარღვეულია.

ექსპერტების განმარტებით, იმისთვის, რომ უცხო პირებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვა შეიზღუდოს (განვითარებული ქვეყნების მსგავსად), საჭიროა ცვლილებები კონსტიტუციაში. საკონსტიტუციო ცვლილებებს საპარლამენტო უმცირესობის მხარდაჭერაც სჭირდება და აქ ხდება აღმაშფოთებელი რამ. „ნაციონალები, რომელთა გამოისობით არის ქართული სოფელი და გლეხი ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი, პარლამენტში წარმოდგენილი უმცირესობის სახით საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარს არ უჭერენ.“

ყოველივესთან დაკავშირებით პრემიერი აცხადებს, რომ ამ საკითხისადმი მიდგომა დიდ სიფრთხილეს საჭიროებს, არ შეიძლება ახალმა ხელისუფლებამ ძველი კანონის (თუნდაც უსამართლოს. – ზ. ბ.) ფარგლებში განხორციელებული შეთანხმებები დაივიწყოს, „ფურცელი დახიოს“ და ყველაფერი თავიდან დაიწყოს. ეს ქვეყნის პრესტიჟის საკითხია და ცუდად იმუშავებს ჩვენი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე (დასავლეთის შესაძლო რეაქციას გულისხმობს ივანიშვილი). მაგრამ ეს სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ პროცესები გამორკვეული იქნება და განაჩენს სასამართლოები გამოიტანენ, – მიაჩნია პრემიერს.

ზ. ბ.

◎ ᲞᲐᲛᲤᲚᲔᲢᲘ – „ᲙᲐᲜᲤᲘᲔᲢᲘ“

ᲕᲐᲜᲣᲐᲢᲣᲛ ᲒᲐᲐᲣᲥᲛᲐᲝ... ᲕᲐᲜᲣᲐᲛ, ᲮᲝ!..

ᲡᲐᲑᲐᲫᲘᲑᲣᲫᲝ ᲜᲣ მოკლებოდეს დარჩენილ ხუთიოდ თვეში ჩვენს პრეზიდენტობამისჯილ მიხეილ სააკაშვილს! აგერ ახლაც, თურმე, სერიოზული დიპლომატიური შედეგი იქნა მიღწეული – ვანუატუმ გადაიფიქრა აფხაზეთის აღიარების გადაწყვეტილების მიღება; და თურმე ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ჩვენ მცდელობა არ დაგვიკლია, რომ ეს მომხდარიყო; და კიდევ ერთი თურმე – რუსეთმა დიპლომატიურ ფრონტზე ძალიან სერიოზული მარცხი განიცადა!..

ისე, ზოგჯერ სიმართლეც წამოსცდება ხოლმე სიცრუეში ეგზომ გავარჯიშებულ გრძელოს ენა-პირს: ქართველობის უმეტესობას **ვანუატუს** სახელმწიფოს შესახებ არც გაუგია! ასეთ უმეტესობაში შედიან ვანუა, მიტუა, ქიტუა, მანუა, მარუა, მიხო, კაკოიე და მეც მანდა ვარ, თქვენი კალამმორჩილი! არ გაგვიგია და ჰე, ახლა! კაცმა რომ თქვას (ან არა თქვას!), ვანუატუსგან ჯერ აფხაზეთის აღიარება რა იყო და ახლა განაღიარება (ან არაღიარება!) რა უნდა იყოს...

ეხ, გრძელო, გრძელო!.. ბოლო წელიწადნახევრისა რა გითხრა, მაგრამ ბოლო ოთხწელიწადნახევარი (რაც წინაზე სამჯერ მეტია!) რომ მცდელობა რუსეთთან მოლაპარაკებისათვის არ დაგეკლო, ეგებ ესა სჯობდა ვანუატუსთან დროისა და ფულის ხარჯვას... ოთხწელიწადნახევარი საიდან მოვიტანე? 2008 წლის აგვისტოს შემოდგომიდან (ცოტა მეტიც გამოდის, ხომ?)... შენ კი ამ ოთხწელიწადნახევარზე მეტ დროს რუსეთის ლანძღვა-გინებას ანდომებ და იმიტომაც გვადგას კაი დღე... არადა, ზოგიერთებს კვლავაც ნიჭიერი პოლიტიკოსი ჰგონიხართ...

ჰმ, რუსეთმა სერიოზული დიპლომატიური მარცხი იწვნიაო... ერთი გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში მივაყენეთ ეკონომიკური ზიანი და მუხლებზე დავაჩოქეთ, როცა სამტრედიასთან რკინიგზა გადავკეტეთ და ჩვენთან მომავალი ეშელონები გავუბრუნეთ ზვიად გამსახურდიას განკარგულებითა და პრეფექტ ზვიად ძიძიგურის შესრულებით (სხვათა შორის, მგონი, სულაც მაშინ დაიწყო საქართველოს ეკონომიკური დაქცევა თუ წაქცევა) და მეორე ახლა – დიპლომატიურად გავტეხეთ წელში ვანუატუს დემარშით ეგ რუსეთი, ხო იცი!..

...ამასობაში ანჩურიის, ბლეფუსკუს, ხატაეთის სამეფოებიც ეხვეწებიან ვადაგასულ და ვადაგაგრძელებულ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს – ჩვენთანაც ჩამოდი დარჩენილ ხუთ თვეში, მზადა ვართ აფხაზეთის ცნობა გავაუქმოთო...

...შენი ვახტანგი კი ლუდოვიკოს ფეხზე (იქნებ სულაც სხვაგან...) ჰკიდია!.. ენაცვალოს მანუა ვანუასა!..

ᲑᲔᲠᲓᲘᲐ ᲑᲔᲓᲝᲘᲫᲔ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რა გეგმები აქვს ამერიკას რუსეთთან დაკავშირებით?

„ისინი არასოდეს შეეგუებიან იმას, რომ ასეთი სივრცე წითელი იყოს – არასოდეს, არასოდეს“, – ასე უთხრა მსოფლიოს რუკასთან მდგომმა სტალინმა იუგოსლავიის სახელმწიფო მოღვაწეს მილოვან ჯილასს. სტალინი ამერიკა-ინგლისს გულისხმობდა.

ეს საუბარი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გაიმართა. მაშინ საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ტერიტორიის ერთ მეექვსედზე იყო გადაჭიმული და რომ არა სტალინის შთამომავლების გორბაჩოვის, იაკოვლევის, შევარდნაძის, მაშინდელი სკკპ ცკ პოლიტბიუროს აშკარა გამყიდველური პოლიტიკური პოზიცია, საბჭოეთი დღესაც იარსებებდა – შეცვლილი იდეოლოგიითა და მსოფმხედველობით, დაახლოებით ისე, როგორც ჩინეთი.

სტალინის შთამომავლებმა ვერ გაუძლეს დასავლურ ცდუნებას, პირადული ამჯობინეს საქვეყნოს და შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ – ერთმანეთს დაშორებული, ერთობ ჩამორჩენილი, „დამოუკიდებელი“ ქვეყნები, აურაცხელი საშინაო პრობლემებით, სოციალური უთანასწორობით. ხალხის მიერ სისხლითა და ოფლით ნაშენი ფაბრიკა-ქარხნების, გიგანტური საწარმოების გასხვისებით, წიაღისეული სიმდიდრეების ოლიგარქთა მიერ დატაცებით, ყოველივე უკუღმართობით, რაც დამახასიათებელი იყო და არის კაპიტალის სამყაროსთვის.

კომუნისტური იდეების ფუძემდებლები ვერასდროს იფიქრებდნენ, რომ რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში თითქმის იმდენივე მილიარდერი იცხოვრებდა, რამდენიც ნიუ-იორკში.

ადამიანის პატიოსნება, მუყაითი შრომა, სამშობლოს სიყვარული მიწასთან გასწორდა. წინა პლანზე წამოვიდა ფულის ტრფიალი და, რაც მთავარია, მისი მოხვეჭისთვის სინდის-ნამუსზე ხელის აღება, ავაზაკობა, ერთმანეთის მოტყუება, სხვისი ქონების მითვისება, ხოცვა-ჟლეტა და სხვა „სიკეთეები“.

საბჭოეთმა ვერ გაუძლო დასავლეთის ცდუნებას და დაიშალა, დაიშალა და ისეთივედ იქცა, როგორც „სანატრელი“ დასავლეთი. ყოფილმა საბჭოთა სისტემამ, დღევანდელმა დსთ-მ დაგმო საბჭოთა ცხოვრება ისე, თითქოს იოლი ყოფილიყო 70-წლიანი საბჭოურის დავიწყება.

ყოფილმა საბჭოელებმა არა მარტო კომუნისტური სისტემა დაგმეს, არამედ ადამიანიც – იმჟამად მცხოვრები და შემოქმედი, ის, ვინც შექმნა უზარმაზარი სახელმწიფოს დოვლათი. ვერც გუშინდელნი და ვერც ბელადები ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათი შთამომავლები წინაპრებსაც დაივიწყებდნენ, მათ მიერ ნაკეთებ საქმეებსაც და დასავლელთა კარნახით გააკეთებდნენ იმას, რასაც აკეთებენ.

საბჭოეთის დამაქცევართ, გორბაჩოვ-ელცინის სახით, რატომღაც წარმოედგინათ, რომ კომუნისტურ სისტემაზე უარის თქმა და კაპიტალიზმზე გადასვლა თავისთავად გამოიწვევდა დასავლეთთან ჩახუტებას, დასავლეთთან თანაბარი პარტნიორის რანგში გადასვლას. მათდა სამწუხაროდ მსგავსი რამ არ მოხდა.

რაც იყო და არის – ეს გახლავთ დასავლური ზეწოლა ყოფილ საბჭოელებზე, მათი ბოლომდე მოდრეკა, დაჩოქება და დამჯერ მონად გადაქცევა. დამოუკიდებლობის ოცწლიან პერიოდში ამ თვალსაზრისით დასავლეთმა ბევრს მიაღწია – სამაგალითოდ საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, დსთ-ს წევრი სახელმწიფოები გამოდგება.

განვლილი პერიოდი გვიჩვენებს, რომ საბჭოეთ-დასავლეთის დაპირისპირების მთავარი მოტივი კომუნისტური იდეოლოგია არ ყოფილა. მთავარი იყო და არის ქვეყნის სიდიდე, წიაღისეული, მისი ტრადიციები, რელიგია, საერთო ჯამში – სულიერება.

დასავლეთისა და მისი ლიდერი აშშ-ის უმთავრეს ამოცანად რჩება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით, ფეხის მყარად გადგმა, საკუთარი ინტერესებისა და მიზნების უპირობო განხორციელება. ამ გზაზე არც ერთი ყოფილი საბჭოელი არ წარმოადგენს მისთვის რაიმე სერიოზულ ბარიერს.

პატარა თუ დიდი ფულით ის ახერხებს მისთვის სასურველი პირობების შექმნას, საზოგადოების მოქრთამვას, ხელისუფლების გადაბირებას, ახალგაზრდა თაობის მონუსხვას. ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეაქვს დასავლურ, უპირველესად ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადგილობრივ ანალოგიურ სამსახურებს – უხვად დაფინანსებულს დასავლეთიდან, კერძოდ აშშ-დან.

ამას წინათ, გაზეთი „ქრონიკა“ წერდა, რომ აშშ-ის სხვადასხვა სახის ორგანიზაციებმა, მათ შორის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ 10.000-ზე მეტი საქართველოს ახალგაზრდა გადაიბირა – ფულით, ამერიკაში უფასო სწავლებით, სისტემატური სტაჟირებით და სხვა ღონისძიებით. პატარა საქართველოსთვის ათი ათასიანი ამერიკულად გადაკეთებული ახალგაზრდული არმია დიდი ძალაა, თანაც ისეთი, რომელიც ნებისმიერ დროს გაიღვიძებს შემქმნელთა ბრძანებით.

საქართველოსა და სხვა ყოფილ საბჭოთა სივრცეში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები რომ ხელისუფლების მართვის სამჭედლოებად არიან ქცეული, აღარავის უკვირს. საბჭოთა კავშირის დროს არსებული კომკავშირი სწორედ მათ ჩანაცვლეს. არც ის არის გასაკვირი, რომ ამერიკულ-დასავლურ ყაიდაზე გაზრდილნი უფრო მეტად ამერიკელები არიან, ვიდრე თვით ამერიკელნი – პრინციპით – შენს ამერიკულობას დამტკიცება სჭირდება.

ის, რომ დასავლეთმა ყოფილ საბჭოთა სივრცეში სერიოზულ წარმატებას მიაღწია ბოლო ოცი წლის განმავლობაში – თვალნათელია. ერთადერთი, სადაც გაუჭირდა – რუსეთია, თუმცა იქაც შექმნა არასამთავრობოები, იქაც გამოურეცხა ტვინები ამ ორგანიზაციების წევრ რუსებს, იქაც აამხედრა ისინი ხელისუფლების წინააღმდეგ, თუმცა ჯერჯერობით – ნაკლები შედეგით.

დასავლეთისთვის რუსეთი სერიოზულ ბარიერად გვევლინება. დაეცემა პუტინის ხელისუფლება? დაეცემა – რუსეთი! ანუ ის სერიოზული ბარიერი, რომელიც ხელს უშლის აშშ-ის ევრაზიულ სივრცეში პარპაშს. რუსეთის შემდეგ აშშ შეეცდება ჩინეთის დაჩოქებას.

მსოფლიო ჰეგემონიზმი სანუკვარი მიზანია, ისეთი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ზბიგნევ ბჟეზინსკის, სხვა ამერიკელ მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს. ტყუილა არ აღუნიშნავს მას – „ის, ვინც ევრაზიას გააკონტროლებს, მსოფლიო კონტროლს შეძლებსო“.

რუსეთი, თავისი უზარმაზარი ტერიტორიითა და წიაღისეულით, მუდამ იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის ყურადღების ცენტრში. ტყუილა არ უთქვამს აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს მადლენ ოლბრაიტს – „ის, რომ რუსეთის წიაღისეულ სიმდიდრეებს მხოლოდ რუსეთი განაგებს – დიდი უსამართლობაა“.

ყოფილი მაღალჩინოსნის აზრით, რუსეთი უნდა იყოს მსოფლიო სიმდიდრეთა ბეღელი, მხოლოდ და მხოლოდ ნედლეულის მიმწოდებელი და არა განვითარებული სახელმწიფო.

ამ მზაკვრულ გეგმას არ იზიარებს პუტინი და მისი ხელისუფლება. პუტინს სხვა რუსეთი უნდა – ძლიერი ეკონომიკურ-სამხედრო თვალსაზრისით, გავლენიანი მთელს მსოფლიოში, მრავალპოლარული მსოფლიოს აქტიური წევრი. ის, რაც პუტინს უნდა, არ უნდათ აშშ-ს და მის მოკავშირეებს. ამიტომაც ცდილობს ის რუსეთის პოლიტიკურ-სამხედრო რკალში მოქცევას და ისეთი ვითარების შექმნას, რომ თვით რუსეთმა გამოაცხადოს კაპიტულაცია.

რუსეთის რკალში მოქცევას ემსახურება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება და ამ კონტექსტში საქართველოს განხილვაც. რუსეთს არ აწყობს საქართველოს ან რომელიმე ამიერკავკასიის სახელმწიფოს ნატოში გაწევრება მარტივი მიზეზის გამო – რკალში მოექცევა. უსუსურია ე.წ. ქართველ პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა მტკიცება, რომ ნატოში შესვლით რუსეთს არაფერი დაუშავდება. კრემლის აზრით, დაუშავდება და მერე როგორ?

სხვას რომ თავი დავანებოთ, ნატოს საზღვრის გადმოწევა ნიშნავს ომის შემთხვევაში რუსული სამიზნე ობიექტებთან დაახლოებას. თითქოს დღეს ასეთი საფრთხე გამორიცხულია, ანუ ნატო რუსეთს არ ემუქრება, მაგრამ რა იქნება ხვალ?

ნატო და აშშ-ის მიზანი ერთია – მშვიდობიანი გზით რუსეთის დაყოლიება, ტომარაში მოქცევა და ტკბილი, დასავლური მელოდიის აკომპანიმენტით მოხრჩობა – ტყვიის გარეშე. რუსეთისთვის დასავლეთის „სამშვიდობო“ გეგმა ცნობილია, ამიტომაც გამოთქვამს უკმაყოფილებას საქართველოს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით.

რუსეთმა იცის, თუ რაოდენ მზაკვრულნი არიან დასავლეთელები. მან საკუთარ თავზე გამოსცადა ყოველივე, უპირველესად, ნატოსთან ურთიერთობა.

დასავლეთმა საბჭოეთს გაანადგურებინა ვარშავის სამხედრო ორგანიზაცია იმ პირობით, რომ არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყანას ნატოში არ შეიყვანდა. ვაშინგტონმა სიტყვა გატეხა. დღეს, ის დაბეჯითებით აცხადებს - მსგავსი ფიცი არ დამიდიაო.

ამას წინათ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „ევრონიუსის“ კორესპონდენტის შეკითხვაზე – „როგორ მოხდება ნატოში შესვლა და რუსეთთან ურთიერთობაცო?“ – უპასუხა, რომ წინა წლების მაგალითების მიხედვით, ეს სრულიად შესაძლებელიაო, ყოფილი საბჭოელები და სოცქვეყნები ნატოშიც არიან და რუსეთთან წარმატებით თანამშრომლობენო.

ყოფილთა ნატოში გაწევრება მაშინ მოხდა, როდესაც რუსეთი ერთობ სუსტი სახელმწიფო იყო, განსაკუთრებით ელცინის დროს. არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე არ უმოქმედია საბჭოთა კავშირის დაშლას ისე, როგორც რუსეთზე. მრეწველობა, განსაკუთრებით სამხედრო, კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

ყოველივეს დაერთო დასავლეთის მიერ ინსპირირებული ჩეჩნეთის ომიც. მძიმე საშინაო პირობებში მყოფი ქვეყნისთვის შეუძლებელი გამოდგა საკუთარი პოზიციების საერთაშორისო არენაზე დაცვა. დღეს სხვა ვითარებაა – რუსეთის აზრს იზიარებენ, თუმცა, დიდ პრობლემას უქმნიან მას. ვიმეორებ! დღევანდელი რუსეთისთვის შეუძლებელია საქართველოს ნატოში შესვლასთან შეგუება.

ივანიშვილის ვერც იმ აზრს გავიზიარებ, რომ მსოფლიო იცვლება და ნატო-რუსეთის ურთიერთობებიც შეიცვლება უკეთესობისკენ და ამდენად რუსეთს აღარ ექნება ესოდენ მძაფრი რეაქცია ნატოში საქართველოს შესვლასთან დაკავშირებითო.

რომ იტყვიან, საამური ოცნებაა და მეტი არაფერი. მსგავსი პერსპექტივა უახლოეს მომავალში არ ჩანს და თუ მსოფლიო შეიცვლება, ნდობაც დაისადგურებს და ა.შ. მაშინ რაღა საჭირო იქნება ნატო? იქნებ ნატოს გაუქმებამ შეუწყოს ხელი ნდობის აღდგენას? მაგრამ გააუქმებს ნატოს აშშ? მიუხედავად არაერთი ამერიკელი პოლიტიკოსის განცხადებისა, რომ ნატოს არსებობის აუცილებლობას ისინი ვერ ხედავენ, ამ ეტაპზე ნატოს არავინ გააუქმებს.

ის, რომ ნატო და ვაშინგტონი, მიუხედავად „გადატვირთვ-გადმოტვირთვისა“, გააგრძელებს რუსეთის, ირანის, ჩინეთის, სხვა „ჯიუტი“ ქვეყნების წინააღმდეგ ღია თუ ფარულ ომს - მტკიცება არ სჭირდება. ერთ-ერთ ასეთ მაგალითად კასპიის ზღვის ირგვლივ განვითარებული მოვლენებიც კმარა.

ბჟეზინსკის გეგმაში კასპიის ზღვას და მის ირგვლივ მყოფ ქვეყნებს, ცენტრალურ აზიას, კავკასიას მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ამ რეგიონში დომინანტი აშშ, არა მარტო რუსეთს და ირანს აკონტროლებს სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკური, ენერგეტიკული თვალსაზრისითაც. ამიტომაცაა, რომ მას სურს შარის ხეირად ქცევა ანუ ავღანეთიდან გამოსვლის შემდეგ ცენტრალურ აზიასა და კასპიის ზღვაზე ფეხის მოკიდება, ამასთანავე კავკასიაში ჩადგმული ჩექმის ჩაბეტონება.

მიზნის მისაღწევად, რას არ აკეთებს აშშ-ის ადმინისტრაცია, უპირველესად ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა მეთაურების გრანტებითა და კრედიტებით მოხიბლვას. ძნელია გაუძლო ესოდენ ძლიერ ფინანსურ შეტევას, მით უმეტეს, როდესაც გიჭირს და არასახარბიელო სოციალურ პირობებს შეიძლება მასობრივი ჯანყი მოჰყვეს.

რა არის ამერიკელთა მთავარი მიზანი? – 2014 წელს ავღანეთიდან სამხედრო კონტინგენტის გამოყვანისთვის, ცენტრალურ აზიაში, „დროებითი“ სამხედრო – სატრანზიტო ბაზების შექმნა. ავღანეთში არსებული სამხედრო ტვირთების პირდაპირი ევაკუაცია აშშ-ში შეუძლებელია, ამდენად საჭიროა ამ ტვირთების ცენტრალურ აზიაში განთავსება, შემდეგ კი მათი დანაწილება. ცენტრალური აზიის ქვეყნებს დიდი სურვილი აქვთ სამხედრო იარაღის ნაწილის მიღების, რაც არ არის გამორიცხული.

არც ის არის გამორიცხული, რომ დროებითი სამხედრო ბაზა პერმანენტულად იქცეს, ამასთანავე შეასრულოს ის ფუნქცია, რაზეც ბჟეზინსკი წერს. გასული თვის ბოლოს ალმა-ატაში გაიმართა სტამბოლის პროცესის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია, რომელმაც განიხილა ავღანეთის საკითხი. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, რომელმაც თქვა, რომ ყაზახეთი მზად არის, ნატოს მისცეს კასპიის ზღვის პორტ აქტაუში ტრანზიტის განხორციელების საშუალება. თუ აღნიშნული წინადადება მიიღეს, მაშინ პორტი აქტაუ პენტაგონისა და მისი მოკავშირეების სამხედრო ბაზა გახდება .

ნაზარბაევის განცხადებას უსწრებდა მასთან ყაზახეთში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის რობერტ ბლეიკის მოლაპარაკება, რომელმაც განაცხადა, რომ აშშ შეინარჩუნებს თავის პოზიციებს ცენტრალურ აზიაში ავღანეთიდან გამოსვლის შემდეგაც. აქტაუს პორტის გამოყენებით, ყაზახეთი შეეცდება აეროპორტის, თვით საზღვაო პორტისა და რკინიგზის მოდერნიზაციაგაფართოებას – ტვირთების მეტი რაოდენობის გატარებისთვის.

ნაზარბაევის განცხადებამ მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. ექსპერტთა აზრით, თუ რეგიონში გაჩნდება ამერიკელი სამხედრო, ეს გამოიწვევს გამალებულ შეიარაღებას – კასპიის ზღვის ქვეყნების, განსაკუთრებით რუსეთ-ირანის მხრიდან.

კავკასია და ცენტრალური აზია არის კონფლიქტებით აღსავსე რეგიონები, რომელსაც კასპიის ზღვა ჰყოფს. ორივე მხარეზე არიან ჯიჰადისტები (ჩრდილოეთ კავკასია და აზერბაიჯანი), რომელთაც აქვთ კავშირები თავის სულიერ ძმებთან დასავლეთ ყაზახეთში. მათი კავშირები დღეს ინტენსიურობით არ გამორჩევა, ამას კასპიის ზღვის სტაბილური ატმოსფერო უწყობს ხელს. გარდა ამისა, არსებობს კასპიის ზღვის ხუთი სახელმწიფოს შეთანხმებაც – არ დაუშვან არაკასპიური სამხედრო ძალის არსებობა.

ამერიკელებისთვის აქტაუს დათმობის შემთხვევაში გაათკეცდება კასპიის ზღვის დაძაბულობა, ამასთანავე ამოქმედდება – იარაღის, ბოევიკების, ნარკოტიკების და ა.შ. მარშრუტები დასავლეთი, აქტაუს გამოიყენებს ირანის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში, გარდა ამისა, საბოლოო კონტროლს დაამყარებს კასპიის ზღვის ენერგომატარებლებზე.

ბოლო შეტევა, რომელიც ბლეიკმა ნაზარბაევზე განახორციელა, განპირობებულია იმითაც, რომ ამერიკელთა ადრე გადადგმულ ნაბიჯებს ჯეროვანი ყურადღება არც რუსეთმა დაუთმო და არც ირანმა. რომ იტყვიან, წაუყრუეს ამერიკელი სამხედრო სპეციალისტების მონაწილეობით ყაზახეთ-აზერბაიჯანის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოდერნიზაციას.

ნაზარბაევის ნათქვამის ასრულება არც საქართველოს აუვლის გვერდს. მასაც ჩაითრევენ ამერიკულ საქმეში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მიმართ ამერიკული გეგმები ძალაშია და ასეთად იქნება კარგა ხნის განმავლობაში, რაც თავისთავად გულისხმობს არა მეგობრობას, არამედ ომის ზღვარამდე მისულ მწვავე პაექრობას.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პატივგება

ვახტანგ დავითაიას და ოთარ ხუციშვილის საგაზაფხულო ჭირნახული

ვახტანგ დავითაია **არა მხოლოდ გამოჩენილი არქიტექტორია, არამედ შესანატრი პუბლიცისტი და რეპორტიორიც. მისი სამეცნიერო-პედაგოგიური წიგნები, საზღვარგარეთ მოგზაურობის დღიურები, სახელდახელო დიალოგები და რეპორტაჟები გაუნელებელი ინტერესით იკითხება. ახლახან არქიტექტორმა გამოსცა ჩვენს ლეგენდარულ ხელოვნებთან გულახდილი საუბრების კრებული (რამაზ ჩხიკვაძე, რობერტ სტურუა, კახი კავსაძე, ზურაბ ნიჟარაძე), რომელიც, მართლაც რომ, ერთი ამოსუნთვით იკითხება.**

არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის კათედრის გამგე და თაობათა აღმზრდელი პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი და სხვა მრავალი ჯილდოს და წოდების მფლობელი პიროვნება ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საამაყო თანამოკალმეც გახლავთ. სწორედ ამიტომ საქართველოს მწერალთა კავშირმა ვახტანგ დავითაიას **ძართული კულტურის რაინდის** წოდება მიანიჭა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ეს საპატიო წოდება მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ რამდენიმე წლის წინათ დააარსა და მისი პირველი მფლობელი ჭაბუა ამირეჯიბი გახდა. ახლახან ეს წოდება რეჟისორს რეზო ჩხეიძეს მიენიჭა... **ვახტანგ დავითაია პირველი არქიტექტორია, რომელიც ქართული კულტურის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის ამ წოდების მფლობელი გახდა...**

წლების განმავლობაში ვახტანგ დავითაია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე იყო. სწორედ მაშინ აღიარა ის ქართველმა საზოგადოებამ, როგორც ხუროთმოძღვართა დიდი შემოქმედებითი ორგანიზაციის ღირსეული ლიდერი, ნამდვილი საზოგადო მოღვაწე...

* * *



ძართულ ჟურნალისტიკას კარგა ხანია ემსახურება ერთი მზისგული, ქუდბედიანი, თავმდაბალი კაცი, რომელსაც ოთარ ხუციშვილი ჰქვია.

დედაუნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საკუთარი ბედი ქართულ სიტყვას დაუკავშირა. წერის კულტურა და ღრმა აზროვნება იმთავითვე გამოარჩევდა თანატოლი მწერალი-ჟურნალისტებისგან. წლების განმავლობაში რედაქტორობდა ახმეტისა და თელავის რაიონულ გაზეთებს. თელავიდან თბილისში გადმოსვლისთანავე გაზეთ „თბილისში“ დაიმკვიდრა ძლიერი ჟურნალისტის სახელი. განსაკუთრებით გაიწაფა დედაქალაქის ეკონომიკური პრობლემების წარმოჩენა-გაანალიზებაში... ოციოდე წლის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი გახდა და... დღემდე „კალამგანუხრელად“ იღვწის ამ ურთულესი დარგის გადასარჩენად.

თითქმის ვერ მოძებნით ქართულ პრესაში ოთარ ხუციშვილზე უფრო სრულყოფილ ანალიტიკოს ჟურნალისტს. ის წერს გულისტკივილით და არა სენსაციის და სკანდალის „ასაგორებლად“, მუდამ ეძებს პრობლემის გადაჭრის გზებს, დარგის აღორძინების საფუძვლებს...

„სერიოზული“ ჟურნალისტიკის პარალელურად ოთარ ხუციშვილი იუმორისტული ჟანრის დიდოსტატია. ჩვენი ცხოვრების ნატურიდან ან „თითქმის ნატურიდან“ აღებული ფაქტები ხშირად გამხდარა ამ ლაღი, თამამი, კალამმადლიანი ჟურნალისტის საკბილო. ბოლო წლებში ოთარ ხუციშვილი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ფელეტონების ოსტატიც გახდა და ნაციონალური მოძრაობის წევრთა „საგმირო“ საქმენი ერის საცინარ-სავიშვიშო ფელეტონებად აქცია.

ოთარ ხუციშვილმა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული იუმორისტული ნაწერების ხუთი კრებული გამოსცა და გულწრფელად გაახარა თავისი ნიჭის თაყვანისმცემლები.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და მწერალთა კავშირის ღირსეული წევრი ოთარ ხუციშვილი იმ დღეს (20 მაისს) საქართველოს მწერალთა კავშირმა ქართული პუბლიცისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ნიკო ნიკოლაძის პრემიით დააჯილდოვა...

* * *

ვახტანგ დავითაიას და ოთარ ხუციშვილის დაჯილდოებისადმი მიძღვნილ საგანგებო ღონისძიებაზე, განახლებული მწერალთა სახლის სხდომათა დარბაზში, სახელოვან არქიტექტორსა და ჟურნალისტს მიესალმნენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე რევაზ მიშველაძე, პოეტები ლია სტურუა, ნოდარ ჯალაღონია, ვაჟა ეგრისელი, ბადრი ქუთათელაძე, მსახიობი კახი კავსაძე, მწერალი და კრიტიკოსი სოსო სიგუა, ჟურნალისტი და ლიტერატორი გურამ გოგიაშვილი, არქიტექტორები გოჩა მიქიაშვილი, დავით ანდრიაძე, თამაზ დოგრაშვილი, აღმოსავლეთმცოდნე ნიკოლოზ კენჭოშვილი.

გილოცავთ საგაზაფხულო ჭირნახულს, ძვირფასო მეგობრებო!, ხომ გახსოვთ **მუხრან მაჭავარიანის** სიტყვები:

უფრო მხიარულობს ჩემი სიხარული, შენ რომ იზიარებ, ის რომ იზიარებს...

ეს ჩვენი საერთო სიხარულია...

სპარტაკ ქოგულია

◎ პური და ენერგეტიკა

მეწარმეები ლიმონივით გამოგვწურეს

ალბათ, ვერავინ შემედავება, თუ ვიტყვი, რომ მეწარმეებმა, განსაკუთრებით კი პურის მცხობელებმა, ყველაზე უკეთესად ვიცით ენერგეტიკის ფასი ჩვენს ყოველდღიურობაში. ეს არც არის გასაკვირი. პურის მრეწველობაში ხომ ენერგოშემცველთა წილი 20-22 პროცენტია. ბუნებრივი აირის როგორც სიკეთე, ისე მისი ნაკლებობით გამოწვეული პრობლემები მწვავედ ვიგრძენით ენერგოკრიზისით ცნობილ 90-იან წლებში, როცა პოლიტიკურ მოვლენებს მაშინ რუსეთიდან ბუნებრივი აირის შეწყვეტა მოჰყვა და იძულებული გავხდით, პური მაზუთით გამოგვეცხო.

ბევრმა არ იცის, იმ პერიოდში როგორი ტექნიკური სიძნელის წინაშე აღმოვჩნდით. საქმე ის არის, რომ მაზუთი თუ არ გააცხელე და სათანადოდ არ გააღვივე, გინდ გქონია და გინდ — არა. გაცხელებას კი ელექტროენერგიის გაზრდილი ხარჯი მოჰყვა. იყო უხარისხო საწვავის გადამუშავების შემთხვევებიც, რომელიც ბოლავდა და პრობლემებს გვიქმნიდა. ამასობაში ქარხნის ღუმელები სერიოზულად დაზიანდა, მაგრამ ამის მიუხედავად, დედაქალაქში უპურობა არავის უგრძნია, ხაბაზებმა შექმნილი სიძნელეები საკუთარ მხრებზე გადაიტანეს.

მომდევნო წლებში ბუნებრივი აირი, როგორც იქნა, მივიღეთ, მაგრამ ტექნიკური პრობლემების მოსაგვარებლად ამოსუნთქვაც არ გვაცალეს და ტარიფები ეგრევე გაგვიზარდეს, თანაც იმაზე უფრო მეტად, ვიდრე მოსახლეობას. ამას მოჰყვა წყლის გაძვირებაც. აღარაფერს ვამბობ ელექტროენერგიაზე, რომლის დეფიციტმა და მუდმივმა გათიშვებმა პირდაპირ სიცოცხლე გაგვიმწარა. საგადასახადო ვალდებულებები კი გამარტივების ნაცვლად კიდევ უფრო გაამკაცრეს და „დანაღმეს“. გაგიკვირდებათ, მაგრამ ფაქტია — მთელი 9 თვის მანძილზე, ნაცების პირით ვიცოდით, რომ ყველა განცხადება — მეწარმეებს ხელი შეუწყეთო, — გვაშინებდა, რადგან ვიცოდით, რომ ხელის შეწყობა ფაქტობრივად ნიშნავდა — რაც შეიძლება მაგრად გაწურეთო!

ჰოდა აკი გამოგვწურეს კიდეც ლიმონივით. ხელისუფლება საამისოდ იყენებდა მეწარმეთა მიმართ ახალ-ახალ „ნაღმებსა“ და მიდგომებს, რომლებიც მეწველი ძროხის პრინციპით მოიაზრებოდა. მართალია, მერე ყოველივე ამას აზერბაიჯანული გაზი და ხმამაღალი განცხადებები მოაყოლეს „დარეგულირების“ შესახებ, ანუ თითქოს არჩევანი ფასსა და ხარისხში, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ „სიაფანდი“ აღმოჩნდა, მეწარმეებს რეალური ხელშეწყობა არა და არ უგრძნიათ. ხელშეწყობის ნაცვლად, ზემოდან ხან ევროპული ძვირადღირებული მრიცხველების შეძენას გვაიძულებდნენ, ხან კიდევ ონლაინ ანგარიშსწორების ფორმების დაჩქარებული წესით დანერგვას, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში „მძიმენონიანი“ ჯარიმები არ აგვცდებოდა.

„თბილგაზს“ ერთხანს ხელმძღვანელობდა მორჩილაძე, რომელიც შედარებით პროგრესულად აზროვნებდა და საინტერესო ენერგოდამზოგავ ტურბინულ ქვაბებზე ამახვილებდა ყურადღებას, მაგრამ არ დასცალდა. შემდგომი ხელმძღვანელები პროგრესისგან შორს იყვნენ და მტაცებლურ სქემებს ხლართავდნენ. ერთადერთი „ყაზტრანსგაზის“ თავკაცი სანჟან შოკატაევი აღმოჩნდა ყურადღებიანი და ჩვენი პრობლემების გამზიარებელი, რომელმაც თავისთან მიგვიწვია და მეწარმეთა ხელშეწყობაზე გვესაუბრა. მაგრამ ისიც მალე შეცვალეს და სულ ახლახან (მარტში) შეეცადნენ, 1 აპრილიდან გაზზე ტარიფები კვლავ გაეზარდათ. და ეს იმ ფონზე, როცა ახალი ხელისუფლება ტარიფების მკვეთრ შემცირებას გვპირდებოდა. კიდევ კარგი, არჩევნების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა და გადასახადის გაზრდა გადაიფიქრეს (ადრე რასაც იტყოდნენ, ისევე უტიფრად და თავხედურად ასრულებდნენ), თორემ კაი ბიჭი იყავი და შეკამათებოდი, მეწარმის აზრი არავის აინტერესებდა.

რაც შეეხება აზერბაიჯანულ გაზს, ბევრი მტკიცება არ სჭირდება, რომ მისი ხარისხი არასახარბიელოა, ზამთარში ხომ დავრწმუნდით, ბინები სათანადოდ არ თბებოდა, მრიცხველი კი ბზრიალებდა და ხარჯი იწერებოდა. რა თქმა უნდა, კარგია ალტერნატივა, რა თქმა უნდა, ბუნებრივი აირი ბევრად სჯობს სხვა საწვავს, მაგრამ ასეთი ხარისხის გაზის ფასი აშკარად უფრო ნაკლები უნდა იყოს. როცა მეწარმე მასში 70 თეთრს იხდი და პური ნაცვლად ერთი საათისა, საათნახევარშიც არ ცხვება, ბუნებრივია, პრეტენზია გიჩნდება. ასეთ პირობებში, დაგვეთანხმებით, რა პროდუქციის თვითღირებულებასა და ხარისხზე შეიძლება იყოს საუბარი, თანაც თუ ამას ემატება საწვავისა და ფქვილის გაზრდილი ფასები(!).

დასკვნა თქვენთვის მოგვინდვია, პატივცემულო მკითხველო და პურის მომხმარებელო. დარეგულირებას კი არა, მეწარმეთა დადებილებას უფრო ჰგავს ეს ყოველივე. ხმამაღალ განცხადებებს, რომელიც ალტერნატიულ ვარიანტებს ეხება (პოლიტიკა მოვაცილოთ), მივესალმებით, მაგრამ ყველამ უნდა გაიგოს, რომ ქვეყნის ხერხამალი მეწარმეობაა (ნაცებს ხერხემალი მერაბიშვილი ეგონათ) და მას ხელის შეშლა კი არა, ხელშეწყობა სჭირდება.

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე

◎ ალიან-ჩალიანი

ბათუმში შავი და კასპიის ზღვის რეგიონების უსაფრთხოების სიმპოზიუმი გაიხსნა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობენ აშშ-ის ევროპული სარდლობის დაზვერვის წარმომადგენლები, საქართველოს, ბულგარეთის, რუმინეთის, მოლდოვას, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, თურქმენეთისა და ყაზახეთის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელი პირები, სამხედრო ატაშეები და ექსპერტები.

კონფერენცია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსმა, პოლკოვნიკმა რომან ჯოხაძემ გახსნა. სიმპოზიუმის მონაწილეები ორი დღის განმავლობაში რეგიონულ უსაფრთხოებაზე, სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ არსებულ საფრთხეებსა და კავკასიის რეგიონზე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში შექმნილი კრიზისის შესაძლო გადმოდინებაზე იმსჯელებენ.

სიმპოზიუმი აშშ-ის სამხედრო დაზვერვის სააგენტოს პროექტს წარმოადგენს, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება და მიზნად ისახავს შავი და კასპიის ზღვების რეგიონების ქვეყნების სამხედრო დაზვერვის სამსახურების დაახლოებას და რეგიონული უსაფრთხოების საკითხების ირგვლივ კონსოლიდირებას. სიმპოზიუმი პირველად 2006 წელს ვაშინგტონში ჩატარდა. სემინარის ორგანიზებაში აშშ-ის სამხედრო დაზვერვის სააგენტოს დაზვერვის ეროვნული უნივერსიტეტი და აშშ-ის ევროპული სარდლობის J-2 დაზვერვის სამსახურია ჩართული.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მეცნიერი დროში

მუდამ სიახლეთა სათავეში

მან თაობები აღზარდა

ცნობილ მეცნიერსა და მრავალი თაობის აღმზრდელს, საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული აკადემიის წევრს, სამამულო ომის ვეტერანს, პროფესორ გენრიხ რატიანს 90 წელი შეუსრულდა.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბედმა არგუნა, თუ შორს გამიზნული არჩევანი იყო, გენრიხ რატიანი ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში ისეთი ახალი მიმართულების განვითარების ინიციატორი ხდება, რომლის აქტუალობაც დროთა განმავლობაში მხოლოდ ამაღლდა, ხოლო ახლანდელ კრიზისულ ეტაპზე სასიცოცხლო მნიშვნელობაც კი შეიძინა. საქმე ეხება ეკონომიკის დარგებსა და სოციალურ სფეროში ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის პრობლემატიკას, რომელიც ბოლო ათწლეულში ერთიანი ტერმინით „ენერგოეფექტურობით“ გაერთიანდა.

ენერგოეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთი ტრადიციული მიმართულება ე.წ. თბური ტუმბოების გამოყენებაა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში 1957-1958 წლებში გ. რატიანის ხელმძღვანელობით დამუშავდა და დაპროექტდა საქართველოში თბური ტუმბოს ბაზაზე მოქმედი პირველი ექსპერიმენტული დანადგარი. უკვე გამოყენებული სამკურნალო წყლის სითბოს ბაზაზე დანადგარი ახორციელებდა წყალტუბოს მე-6 სააბაზანოს ჰაერის კონდიცირების სისტემის სითბოთი და სიცივით მომარაგებას. იმავე პერიოდში მანვე განახორციელა ორიგინალური სამუშაო, რომელიც თბური ტუმბოსა და მზის კოლექტორის კომბინირებით მზის ენერგიის გამოყენების ეფექტურობის ამაღლების საშუალებას იძლეოდა.

> **გენრიხ რატიანი ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში ისეთი ახალი მიმართულების განვითარების ინიციატორი ხდება, რომლის აქტუალობაც დროთა განმავლობაში მხოლოდ ამაღლდა, ხოლო ახლანდელ კრიზისულ ეტაპზე სასიცოცხლო მნიშვნელობაც კი შეიძინა. საქმე ეხება ეკონომიკის დარგებსა და სოციალურ სფეროში ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის პრობლემატიკას, რომელიც ბოლო ათწლეულში ერთიანი ტერმინით „ენერგოეფექტურობით“ გაერთიანდა.**

გ. რატიანის მიერ ხსენებულ და სხვა სამუშაოებში დამუშავებული ტექნიკური გადაწყვეტები და მიღებული შედეგები საფუძვლად დაედო საქართველოში თბური ტუმბოების გამოყენების მიმართულების განვითარებას.

ენერგოეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ტექნიკურ სისტემებში სითბოს გადაცემის ინტენსიფიკაცია. 1958-1959 წლებში გ. რატიანმა საერთაშორისო პრაქტიკაში ერთ-ერთი პირველი ექსპერიმენტული სამუშაო ჩაატარა თბოგადაცემის ინტენსიფიკაციისათვის ხელოვნური ხაოიანობის გამოყენების სფეროში. მიღებულმა შედეგებმა სპეციალისტების დიდი დაინტერესება გამოიწვია და საბჭოთა ატომური ბომბის მამის, აკადემიკოს ი. კურჩატოვის გადაწყვეტილებით, გ. რატიანის შესაბამისი ნაშრომი ამ სფეროს წამყვანი ცენტრის — ატომური ენერგიის ინსტიტუტის სპეციალური გამოშვების სახით გამოიცა. გ. რატიანის ხსენებულმა სამუშაომ იმპულსი მისცა საქართველოში თბოგადაცემის ინტენსიფიკაციის ხსენებული ახალი მიმართულების განვითარებას.

60-იანი წლების დასაწყისში ენერგეტიკის ინსტიტუტში გ. რატიანმა და მისმა მოწაფეებმა საფუძველი ჩაუყარეს ფაზურ გარდაქმნებთან დაკავშირებული თბოგადაცემის პროცესების კვლევას, აქ ალბათ, შეიძლება განსაკუთრებით აღვნიშნოთ ფუნდამენტური შედეგები ორთქლის ნაკადის კონდენსაციის, სითხის დუღილის და კაპილარულ ზედაპირებზე ფაზური გარდაქმნების თეორიაში, რომელთაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

იმავე 60-იანი წლებიდან იღებს სათავეს გ. რატიანის სამეცნიერო მოღვაწეობა თბომომარაგებისა და ჰაერის კონდიცირების აპარატურის დამუშავების სფეროში, მათ შორის შეიძლება აღინიშნოს ახალი, ერლიფტის ტიპის ეფექტური თბომასაგადამცემი კონტაქტური აპარატის შექმნა.

ხსენებული მიმართულებების განვითარებასთან ერთად, გ. რატიანი არის საქართველოში ჰაერის კონდიცირების სისტემების დაპროექტების დამფუძნებელი და ამ სფეროს მრავალი მასშტაბური პროექტის ავტორი და კონსულტანტი. უშუალოდ მის მიერ ან მისი კონსულტაციის საფუძველზე არის დაპროექტებული თბილისის სპორტის სასახლის, სახელმწიფო ფილარმონიის, ოპერისა და ბალეტის თეატრის, პოლიგრაფიული კომბინატის, გორის ბამბეულისა და საქართველოს სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების კონდიცირების სისტემები.

დაწყებული 70-იანი წლებიდან, გ. რატიანი წამყვან როლს თამაშობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში თბოაირმომარაგების, ვენტილაციის და კონდიცირების კათედრის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და ამ პროფილის ინჟინრების თაობების აღზრდაში, კათედრის სასწავლო ბაზის განვითარებაში, სადაც იგი ახლაც აგრძელებს მოღვაწეობას როგორც კონსულტანტი.

პროფესორი გ. რატიანი არასოდეს აუღელვებია თავისი ღვაწლისა და შედეგების ფორმალური აღიარების პრობლემას. მის მთავარ მიზნად ყოველთვის ფაქტობრივი შედეგის მიღწევა რჩება, ხოლო მორალური თვალსაზრისით მისთვის ის აბსოლუტური ნდობა, მოწიწება და მის ობიექტურობაში ურყევი რწმენაც საკმარისია, რაც მასთან ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს ყოველთვის ბუნებრივად უყალიბდებათ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა გ. რატიანის პროფესიულმა დონემ და გამოცდილებამ ბოლო წლების ენერგეტიკული კრიზისის ეტაპზე, როცა ენერგოეფექტურობის პრობლემა წინა პლანზე გამოვიდა, ხოლო თბომომარაგების და კონდიცირების სისტემები საქართველოში ფაქტობრივად ხელახლა გახდა შესაქმნელი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გ. რატიანი საკვანძო როლს თამაშობს ყველა ახალი ალტერნატივის დამუშავებისა და ექსპერტიზის პროცესში, რომელიც საქართველოში ამ სფეროში ხორციელდება, უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით დამუშავებული პროექტების ჩათვლით. მასწავლებელს საკმარისად კარგად აუბეს მხარი მის მიერ ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ენერგოეფექტურობის ქართული სკოლის წარმომადგენლებმაც, რომლებიც არა მარტო საშინაო პრობლემების დამუშავებაში თამაშობენ წამყვან როლს, არამედ, არცთუ იშვიათად, ენერგოეფექტურობის საერთაშორისო ექსპერტების როლშიც გვევლინებიან და სხვა ქვეყნების პრობლემების განხილვაში მონაწილეობენ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამშენებლო ფაკულტეტი, თბოაირმომარაგებისა და ვენტილაციის მიმართულება

◎ ვულოცავთ

პოეტური აზროვნების მაღალი კულტურითა და პატრიოტული სულისკვეთებით...

გენო კალანდიას მხატვრული ლიტერატურის დარგში წიგნისთვის „ფესვები“ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ულოცავს პოეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გენო კალანდიას მხატვრული ლიტერატურის დარგში წინგისთვის „ფესვები“ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მინიჭებას და წარმატებებს უსურვებს შემოქმედებით ასპარეზზე.

გენო კალანდიას ნაწარმოებები ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა პოეტური აზროვნების მაღალი კულტურითა და პატრიოტული სულისკვეთებით. მისი პოეტური სტილისთვის დამახასიათებელია სისადავე და ჰარმონიულობა. პოეტის ფიქრები და განცდები სანუკვარ აფხაზეთს, ენგურსგაღმა დარჩენილ საქართველოს დასტრიალებს. ავტორი საოცარი სიცხადით აღადგენს აფხაზეთის ომის ისტორიას თავის ნაწარმოებებში — **„ავტოგრაფები ქვაზე“, „რეკვიემი“** და **„ისევ რეკვიემი“.**

პოეტური ციკლებისთვის გენო კალანდიას მიღებული აქვს არაერთი ჯილდო — საქართველოს სახელმწიფო პრემია (1994 წ.), გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია (2002 წ.), ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია და სხვა.

◎ ტურიზმის აკადემია

სტუდენტთა თხოვნით

თბილისის ტურიზმის აკადემიაში გასულ წელს ძირითადი სპეციალობები სრულიად დაკომპლექტდა. აკადემიაში სტუდენტთა მოთხოვნების შესასწავლად თვალსაჩინო ადგილას არის დამაგრებული ყუთი, რომელშიც სტუდენტები ხელმოუწერლად თავიანთ შენიშვნებს, სურვილებს გვიზიარებენ. დირექცია ყოველ ხუთშაბათს ნახულობს ამ მოთხოვნებს და ცდილობს, დააკმაყოფილოს ისინი.

ამას წინათ, ყუთში გაჩნდა ასეთი წინადადება: **რადგან ტურიზმს ვსწავლობთ, გვაინტერესებს ყველაფერი. იქნებ შეგვახვედროთ სპეციალისტს, რომელიც ჩინეთის შესახებ გვესაუბრება.**

და აი, აკადემიის დირექტორის პროფესორ ამირან მექვაბიშვილის ინიციატივით ა. წ. 21 მაისს სასწავლებლის საკონფერენციო დარბაზში სტუდენტებთან შესახვედრად მოვიწვიეთ ცნობილი მუსიკოსი მანანა თუშმალიშვილი, რომელიც რამდენიმე თვე იმყოფებოდა ჩინეთში და მოინახულა უამრავი ქალაქი და ახლოს გაეცნო ჩინელთა ყოფა-ცხოვრებას. ისაუბრა ჩინელი ხალხის შრომის კულტურაზე, სტუმართმოყვარეობასა და მათ ტრადიციებზე. მან სრულყოფილი პასუხები გასცა აუდიტორიის მიერ დასმულ კითხვებზე.

ამავე შეხვედრაზე რექტორატის ინიციატივით მოეწყო სასწავლებლის ღვაწლმოსილი მუშაკის, დაცვის უფროსის, გადამდგარი პოლკოვნიკის გურამ მექვაბიშვილის პენსიაზე საპატიო გაცილება.

რექტორის შესავალი სიტყვის შემდეგ მექვაბიშვილის დამსახურებაზე ისაუბრეს მისმა მეზობელმა სოფელ ჯუმათიდან (ოზურგეთის რაიონი), პროფესორმა ცაცა ჩხარტიშვილმა, პროფესორმა ხვთისავარ არჩემაშვილმა და სხვებმა, მიულოცეს დაბადების 80 წლისთავი და უსურვებს ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე.

ქეთევან უსუფაშვილი,
მაია კვაჭაძე.

◎ ალიან-ჩალიანი

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ნაგავსაყრელის პირველადი საექსპლოატაციო სამუშაოები დაათვალიერა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ შოთა მურღულიამ და მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორმა გიორგი შუხოშვილმა თელავში კომპანიის რეგიონული ოფისი გახსნეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ რეგიონული განვითარების სამინისტროდან აცნობეს, შოთა მურღულიამ კომპანიის დირექტორთან ერთად, სოფელ გულგულას ტერიტორიაზე განთავსებული ნაგავსაყრელის პირველადი საექსპლოატაციო სამუშაობი დაათვალიერეს.

თელავის ნაგავსაყრელის მოწესრიგებისთვის გამოცხადებულია ტენდერი. ტენდერის შედეგად გამარჯვებული კომპანია ნაგავსაყრელზე საკონტროლო-გამშვებ ჯიხურებს განათავსებს, მოაწესრიგებს სანიაღვრე წყალარინების სისტემებს, შემოღობავს ტერიტორიას, დაამონტაჟებს სასწორებს, მოაწყობს სანიტარიულ კვანძსა და უსაფრთხოების ფარს. ნაგავსაყრელზე მოხდება სწორი ოპერირება და მაქსიმალური ექსპლოატაცია.

ამჟამად ნაგავსაყრელზე პირველადი საექსპლოატაციო სამუშაოები მიმდინარეობს, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად განსათავსებლად. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ 2012 წელს შეიქმნა, კომპანიის მიზანია ქვეყანაში არსებულ ნაგავსაყრელებზე მდგომარეობის მოწესრიგება და ნარჩენების მართვის სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრა. კომპანიის მართვაშია ქვეყნის მასშტაბით არსებული 56 ნაგავსაყრელი.

ორ მეტალურგს ფოლადის ნადნობი გაადაესხა

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დაშავებული მეტალურგები თბილისის რეფერალური კლინიკის დამწვრობის ცენტრში არიან გადაყვანილი. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელმა გუგა ქაშიბაძემ აცნობა, გუშინ გამთენიისას, 05.30 საათზე ფოლადის ნადნობი ორ მეტალურგს გადაესხა, ისინი ჯერ რუსთავის საავადმყოფოში, შემდეგ კი დამწვრობის ცენტრში გადაიყვანეს.

43 წლის დაშავებული მძიმე მდგომარეობაშია, რომელიც რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული, ხოლო 58 წლის დაშავებული მამაკაცი თერაპიულ მკურნალობას ექვემდებარება. თუმცა, როგორც გუგა ქაშიბაძე აცხადებს, ორივე პაციენტს ქირურგიული ოპერაცია დასჭირდება.

სარფის საბაჟოზე იარაღი აღმოაჩინეს

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს. მათივე ინფორმაციით, დღეს „სარფი“-ს საბაჟო გამშვები პუნქტის კონტროლის ზონაში თურქეთიდან VOLKSWAGEN TRANSPORTER-ის მარკის მინივენით თურქეთის მოქალაქე მესუტ კ. შემოვიდა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ავტომანქანის დათვალიერებისას, სალონის წინა მარჯვენა სავარძელთან მოთავსებულ ე.წ. ხალიჩის ქვეშ აღმოაჩინეს ცეცხლსასროლი იარაღი მარკით: SARSILMAZ T1102-040007937 — 9-მილიმეტრიანი, 3 მჭიდითა და 39 ცალი საბრძოლო ვაზნით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოში ექსპრემიერი ვანო მერაბიშვილი დააკავეს

საძარცველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ამჟამად პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი ქუთაისში დაკითხვის შემდეგ დააკავეს.

მასთან ერთად დააკავეს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ყოფილი მინისტრი, ამჟამად კი კახეთის გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

ქუთაისში სპეციალურ ბრიფინგზე პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მერაბიშვილის „ორი კორუფციული საქმიანობის მნიშვნელოვანი ეპიზოდი გაიხსნა“.

ბრალდების თანახმად, მერაბიშვილმა, პრემიერ-მინისტრად ყოფნის დროს, ჭიაბერაშვილთან ერთად დაგეგმა და განახორციელა ოპერაცია, რომლის დროსაც 5,2 მილიონი ლარი (დაახლოებით 3,2 მილიონი დოლარი), რაც გამოყოფილი იყო დასაქმებისა და უმუშევართა აღრიცხვის სახელმწიფო პროგრამისთვის, უკანონოდ გადაერიცხა დაახლოებით 22 ათას კაცს.

ბრალდება აცხადებს, რომ 240 ლარის მიმღები პირები გააფორმეს, როგორც შტატგარეშე თანამშრომლები, მაგრამ სინამდვილეში ისინი ღებულობდნენ ფულს წინასაარჩევნო აგიტაციისთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ.

ექსპრემიერის ადვოკატები აცხადებენ, რომ მერაბიშვილი უარყოფს ბრალდებას. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები პარტიის გენერალური მდივნის დაპატიმრებას პოლიტიკური მოტივებით ხსნიან.

მერაბიშვილი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი 2004 წლიდან შარშან ზაფხულში პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნამდე. იგი ითვლებოდა მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მინისტრად, რომელიც ხელისუფლებაში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოვიდა.

ამჟამად მერაბიშვილი მთავარი ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივანია. 2012 წლის შემოდგომაზე არჩევნებში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო ხმების 40 პროცენტზე მეტი, დაიკავა მეორე ადგილი. პარტიას მხარს უჭერს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

აგარაკი ზღვასთან

მეორე ეპიზოდი, პროკურატურის მონაცემებით, შეეხება საკუთრებას ზღვისპირას ხელვაჩაურის რაიონში. გამოძიება ამტკიცებს, რომ მერაბიშვილი და მისი ოჯახი უსასყიდლოდ სარგებლობდნენ უძრავი ქონებით თითქმის ოთხი წლის განმავლობაში, მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ.

ამ დროს, ბრალდების თანახმად, ექსმინისტრი იყენებდა თანამდებობრივ მდგომარეობას, რათა გაერემონტებინათ სხვისი აგარაკი შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯზე.

როგორც პროკურატურა აცხადებს, აგარაკის მომსახურე პერსონალსაც ასევე უხდიდნენ ხელფასს სამინისტროს ბიუჯეტიდან, რის შედეგადაც სახელმწიფომ იზარალა 158 ათასი ლარით.

იმ შემთხვევაში, თუ ვანო მერაბიშვილს ბრალდება დაუდასტურდება, მას ემუქრება თავისუფლების აღკვეთა 7-დან 12 წლამდე.

ამასთან ერთად, პროკურორების სიტყვებით, მერაბიშვილის წინააღმდეგ მიმდინარეობს გამოკვლევა კიდევ ორ ეპიზოდზე, და ამ შემთხვევებშიც „გამოძიება პრაქტიკულად დამთავრებულია“.

„უკრაინის გზა“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ მერაბიშვილის დაპატიმრება არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომლის უკანაც დგას პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და მისი სურვილი — „გაანადგუროს მოძრაობა“.

„დღეს ივანიშვილმა გამოსცა ბრძანება ვანო მერაბიშვილის დაპატიმრების შესახებ, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ ამით ის ვერ შეძლებს ოპოზიციის განადგურებას და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გააგრძელებს ბრძოლას“, — განაცხადა დეპუტატმა პრეზიდენტის პარტიიდან გიორგი გაბაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, როდესაც კომენტარს უკეთებდა მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის დაპატიმრებას, მოუწოდა ხელისუფლებას, დაფიქრდეს დაპატიმრების შედეგებზე და პარალელი უკრაინასთან გაავლო.

უკრაინა, რომელიც სჭირდება ნატოს, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, პრაქტიკულად სერიოზულ საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდა ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაპატიმრების გამო, რაც, როგორც მიაჩნიათ, განხორციელდა პოლიტიკური მოტივებით, განაცხადა სააკაშვილმა.

„საქართველო — პატარა ქვეყანაა, ჩვენ გაცილებით ნაკლებად ვჭირდებით დასავლეთსა და ევროპას, ვიდრე უკრაინა, მაგრამ რუსეთს სჭირდება იგი უფრო მეტად, ვიდრე უკრაინა“, — განაცხადა სააკაშვილმა და დაუმატა, რომ საქართველოს საერთაშორისო იზოლაცია რუსეთის სასიცოცხლო ინტერესებში შედის.

მისი სიტყვებით, მას არ სჭირდება, წარუდგინოს საზოგადოებრიობას მერაბიშვილი, ვინაიდან მისი საქმიანობის ასპექტები კარგადაა ცნობილი.

„არც ერთ პროკურორს, არც ერთ მოსამართლეს არ შეუძლია შეცვალოს საზოგადოებრიობის ვერდიქტი მასთან დაკავშირებით“, — განაცხადა სააკაშვილმა.

რაც შეეხება ჭიაბერაშვილს, რომელიც წარსულში იყო საქართველოს ელჩი ევროსაბჭოსა და შვეიცარიაში, სააკაშვილის სიტყვებით, მისი ძალისხმევით ევროსაბჭოში საქართველოს პოზიციებმა წინ წაიწიეს და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა ავიდა ახალ დონეზე.

სააკაშვილმა მას ასევე დამსახურებად მიაწერა, რომ მოლაპარაკებაზე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებით, ამერიკელებისა და შვეიცარიელების დახმარებით, შევძელით მიგვეღწია შეთანხმებას რუსეთთან, რაც, „სრულად ითვალისწინებდა საქართველოს ინტერესებს“.

„თუ საქართველოში არის ვინმე მეორე კაცი ჩემს შემდეგ, ვისი თავიდან მოცილება, განადგურება და დაკავებაც ვლადიმერ პუტინს სურდა, ეს ზურაბ ჭიაბერაშვილია“, — განაცხადა სააკაშვილმა.

სამართლიანობის აღდგენა

სამთავრობო და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები უარყოფენ ყოფილი ჩინოვნიკების დაკავებაში პოლიტიკურ მხარეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის სიტყვებით, საკითხები წინა მთავრობის წარმომადგენლებთან დაკავშირებით, მათ შორის ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებითაც, არსებობდა, მაგრამ დასკვნების გაკეთება ნაადრევია და უნდა ველოდოთ სასამართლოს.

ივანიშვილი აცხადებს, რომ პოლიტიკური დევნა ქვეყანაში არ იქნება დაშვებული.

„მე მგონია, რომ საკითხი პოლიტიკური დევნის შესახებ იმდენად სუსტია, რომ მათ მისი გამოყენება უკვე არ შეუძლიათ“, — განაცხადა ივანიშვილმა და დაუმატა, რომ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე გაიგეს — ამჟამინდელი მთავრობა არ ახორციელებს შერჩევით მართმსაჯულებას.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მერაბიშვილის ყოფილი მთავრობისთვის მრავალმხრივ გახდა სიმბოლური წარმატებული ბრძოლა კორუფციასთან და კრიმინალთან.

მაგრამ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და პრემიერი ასევე ხშირად იყო ხოლმე კრიტიკისა და ბრალდებების ობიექტი პოლიტიკური ოპონენტებისა და სამართალდამცველების მხრიდან.

მერაბიშვილი, ისევე როგორც ბევრი ყოფილი ჩინოვნიკი, შარშან პარლამენტის არჩევნების შემდეგ რამდენჯერმე იყვნენ გამოძახებული დაკითხვაზე.

ადრე ექსპრემიერი დაკითხეს ყალბი დოკუმენტების შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით ძიების ფარგლებში.

მიმდინარე წლის თებერვალში მერაბიშვილი და ჭიაბერაშვილი იყვნენ გამოძახებული დაკითხვაზე მოწმის სახით 5,2 მილიონი ლარის სავარაუდო გაფლანგვასთან დაკავშირებით დასაქმების პროგრამის ფარგლებში.

BBC RUSSIAN.com

ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავებას უცხოური მედიაც ეხმაურება

„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილისა და კახეთის გუბერნატორის ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავებას უცხოური მედიაც ეხმაურება.

„საქართველოს პრეზიდენტის უახლოესი მოკავშირეები თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტებისთვის გაასამართლეს“, — ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკული გამოცემა The Wall Street Journal ალან კულისონის სტატიას.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, **საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გადაკვრით აღნიშნა, რომ 2006 წელს მომხდარი მკვლელობის გამოძიების სავარაუდო დაფარვისთვის, შესაძლოა, გასამართლდეს პრეზიდენტი სააკაშვილიც. მისი ორი მოკავშირე კი თანამდებობის უფლებამოსილების გადამატებისა და გაფლანგვის ბრალდებით დააკავეს,** — წერს ალან კულისონი.

როგორც ამერიკულ გამოცემაშია ნათქვამი, მიხეილ სააკაშვილმა ორივე დაკავება პოლიტიკურად შეაფასა. მისმა მთავარმა მოკავშირემ კი ეს ბრალდებები პრეზიდენტის პარტიისთვის დარტყმის მიყენების კამპანიად შეაფასა.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, სააკაშვილის პოპულარობა მისი პრეზიდენტობის განმავლობაშივე დაეცა. უამრავი ადამიანი ჩიოდა, რომ მისი მთავრობა მბრძანებლური იყო და მაღალჩინოსნები 9-წლიანი მმართველობის განმავლობაში თანამდებობას ბოროტად იყენებდნენ.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ახალმა მთავრობამ ბოლო თვეებში ციხიდან ასობით ადამიანი გაათავისუფლა, თუმცა საგამოძიებო საქმეები წამოიწყო ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ. დაკავებები შეეხო სააკაშვილის უახლოეს მოკავშირეებსაც.

„ერთი მათგანი ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და სააკაშვილის პარტიის ამჟამინდელი ლიდერი ვანო მერაბიშვილია, მეორე კი ჯანმრთელობისა და შრომის ყოფილი მინისტრი და ამჟამინდელი გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

ორივე მათგანი დასაქმების პროგრამის დროს თანხის მითვისებისთვის არის დაკავებული. მერაბიშვილს ასევე ბრალი ედება ზღვის სანაპიროზე სხვისი კერძო საკუთრების მითვისებაში. პროკურორთა განცხადებით, ისინი ასევე იძიებენ, მიუძღვის თუ არა ბრალი ვანო მერაბიშვილს 2011 წლის მაისში საპროტესტო აქციის დარბევაში, ასევე სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში, რომელიც რესტორანში მაღალჩინოსნებთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ თბილისის გარეუბანში გარდაცვლილი აღმოაჩინეს“, — წერს ალან კულისონი.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, პრემიერ-მინისტრი არ გამორიცხავს, რომ ამ დანაშაულში თავად პრეზიდენტიც იყოს ჩართული და აცხადებს, რომ **„მთავრობის ყველა წევრი კანონის წინაშე თანასწორია“.**

სტატიის ავტორი ასევე ციტირებს ქართველი პოლიტიკური ანალიტიკოსის ალექსანდრე რონდელის სიტყვებს, რომელიც აცხადებს, რომ ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრებით პრემიერ-მინისტრი პოლიტიკურ რისკზე მიდის. თუმცა, ამ ნაბიჯებით ხელისუფლება ცდილობს საარჩევნო კამპანიის წინ დადებული პირობის შესრულებას.

ალან კულისონი ასევე აღნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ქონება რუსეთში დააგროვა, უარყოფს სააკაშვილის ბრალდებებს, რომ ის კრემლის ინსტრუმენტია. პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ დასავლეთთან ინტეგრაცია სურს, თუმცა, მოსკოვთან ურთიერთობის გამყარებასაც ცდილობს.

დედამიწის ზურგზე

ტორნადო ოკლაჰომაში ხიროსიმაში ატომურ ბომბს შეადარეს: სტიქია გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა

ხუთმა ერთმანეთისგან დამოუკიდებელმა მეტეოროლოგმა გაზომვების რეალურ დროში გამოყენებით დაიანგარიშა, რა ძალის ენერგია გამოიყო 40-ზე ოდნავ მეტი წუთის განმავლობაში, სანამ ქალაქ მურის თავზე მძვინვარებდა გიგანტური გრიგალი.

* * *

ტორნადომ ოკლაჰომაში მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა რუსეთელებსაც

ქალაქ მურში, რომელზეც მოდიოდა სტიქიის ძირითადი დარტყმა, 60 რუსეთელი და დსთ-ს ქვეყნებიდან 100-ზე მეტი გამოსული ცხოვრობს. საბედნიეროდ, ფიზიკურად არც ერთი მათგანი არ დაზარალებულა. შვიდი წლის მირა ამანბაევასა და დედამისს თავზე ჩამოენგრათ დაწყებითი სკოლის სახურავი. ისინი სხვა მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ერთად ნანგრევებიდან მაშველებმა გამოიყვანეს.

* * *

აშშ-ის კონგრესში რესპუბლიკელებმა მოამზადეს კანონპროექტი, რომელიც კრძალავს რუსეთის ფედერაციისთვის საიდუმლო მონაცემების გაცნობას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებით

კანონმდებლებმა ასევე დაამუშავეს შესწორება, რომელიც რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სააგენტოსგან მოითხოვს, აცნობოს მათ, უკანასკნელ პერიოდში გადაეცა თუ არა რუსეთს რაიმე ინფორმაცია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ამერიკული სისტემის შესახებ. ამ ინიციატივის ავტორმა ჯერ კიდევ მარტში მოამზადა პროექტი „კანონი ინფორმაციის დაცვის შესახებ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებით“.

* * *

ნიუტაუნში 20 ბავშვის აუტისტი-მკვლელი იმო ფხიზელი, ნარკოტიკებს ან რაიმე წამლებს არ ღებულობდა

ასეთია ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის შედეგი, რომელიც განახორციელეს ადამ ლანგას სხეულზე. გამოძიების მონაცემებით, სახლში, რომელშიც ცხოვრობდა 20 წლის დამწაშავე, ასევე ვერ აღმოაჩინეს ნარკოტიკები და რეცეპტურული პრეპარატები. ხოცვა-ჟლეტის მოტივები კვლავ უცნობი რჩება. როგორც ელოდებიან, გამოძიება ამ საქმესთან დაკავშირებით ზაფხულში დამთავრდება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წლები, რომლებიც მუდამ შენთან არის

ინსტიტუტი

რამდენიმე თვე დამჭირდა, რათა გამეცნობიერებინა ის სირთულეები, რასაც უნდა შევჭიდებოდი. ადამიანებმა თუ არ დაინახეს, რისი გამკეთებელი ხარ, გვერდით არ დაგიდგებიან. გასაკეთებელი კი... ძალიან ბევრი დამხვდა!

ინსტიტუტის ლამაზი და მიმზიდველი შენობა, სასწრაფოდ თუ არ შეკეთდებოდა, თავზე დაგვენგრეოდა, ნოემბერში დავინიშნე რექტორად და კაბინეტში ისე ციოდა, რომ ბეწვის ქუდი და ქურქიც არ მშველოდა. საინსტიტუტო საქვაბეში მარტო კარკასი იყო აშენებული. სახურავიდან ჩამოსული წყალი პირველ სართულამდე ჩადიოდა. კაპიტალური რემონტისთვის საჭირო ფულის მოძიება და ფონდებით უზრუნველყოფა როგორღაც მოვახერხე და ამაში სერიოზულად ჩაერია საქართველოს მთავრობა და პირადად ე.შევარდნაძე. რეორგანიზაციას საჭიროებდა სასწავლო და სამეცნიერო პროცესები, გასაახლებელი იყო მატერიალური ბაზა და ა.შ.

მკითხველი რომ არ გადავღალო, მოკლედ ვიტყვი: ორ წელიწადში მთლიანად გადავხურეთ ინსტიტუტის კორპუსები, დავაგეთ პარკეტი, დავამთავრეთ უნიკალური სპორტული დარბაზის მშენებლობა, ავამუშავეთ საქვაბე, ჩატარდა ინსტიტუტის შიდა რემონტი, სასწავლო მეურნეობაში, ზღვის ნაპირზე ავაშენეთ 350-კაციანი დასასვენებელი სახლი, მოგვიანებით, სამი ხუთსართულიანი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკა ლაბორატორიებით, სადეგუსტაციო და საკონფერენციო დარბაზებით, დავაგეთ მოზაიკა ინსტიტუტის წინა მოედანზე, კათედრები აღვჭურვეთ უახლოესი ლაბორატორიებით და ა.შ.

როგორც ხედავთ, ჩვენი თაობა კი არ ანგრევდა, როგორც ამას გაჰკიოდნენ „ნაციონალები“, არამედ აშენებდა. და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტიც არ იყო გამონაკლისი. ჩვენმა თაობამ ქვეყანას ბევრი რამ დაუტოვა და ქილიკითა და უმადურობით ამას ისტორიიდან ვერავინ ამოშლის.

პროფესორ-მასწავლებელთა მხარდაჭერით, რომელიც ძალიან კვალიფიციური აღმოჩნდა, ინსტიტუტში სწრაფად დავნერგეთ სწავლების ახალი ფორმები და მეთოდები. პირველად ჩვენთან შეიქმნა სტუდენტთა მომსახურების მაგნიტოფონური სისტემები, მათ შეეძლოთ სპეციალურ კაბინეტებში მოესმინათ მათთვის საჭირო ლექციების სრული ტექსტები.

რამდენიმე წელიწადში სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, სსრ კავშირის მასშტაბით, ერთ-ერთი საუკეთესო გახდა (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები ვექვემდებარებოდით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს. იმ დროს ქვეყანაში 134 სასოფლო-სამეურნეო პროფილის ინსტიტუტი იყო) ჩემი რექტორობის დროს, რომელიც 16 წელიწადს გაგრძელდა, ინსტიტუტმა 5-ჯერ მიიღო საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

ინსტიტუტში, ქართველებთან ერთად მუშაობდნენ აფხაზებიც და მათ საკმაოდ სერიოზული თანამდებობები ეკავათ (პრორექტორი, კათედრის გამგეები, პროფესორები, დოცენტები და ა.შ.). ისინი მაღალ პროფესიულ დონეზე ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, არ ერეოდნენ შიდასაინსტიტუტო კონფლიქტებსა და ინტრიგებში, ცდილობდნენ, არ შეექმნათ პრობლემები ინსტიტუტის ხელმძღვანელობისთვის. მეტ-ნაკლებად ფლობდნენ ქართულ ენას და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტებშიც ნაკლებად აქტიურობდნენ.

ამას, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი კოლექტივის ქართულ ნაწილზე. გამუდმებით კინკლაობდნენ ერთმანეთთან, რაც იმ სინამდვილეში, რომელშიც ჩვენ გვიწევდა მუშაობა, ნამდვილად დამღუპველი იყო.

ჩემს დანიშვნამდე, კოლექტივი ორად იყო გაყოფილი. ერთი ნაწილი მოითხოვდა სასწავლო დარგის პრორექტორის რექტორად დანიშვნას (იგი 10 თვე მოვალეობას ასრულებდა), უფრო დიდი ნაწილი კი, მისი დანიშვნის სასტიკი წინააღმდეგი იყო და ამას ღიად აფიქსირებდა. რექტორის თანამდებობაზე ჩემმა დანიშვნამ, თანამშრომლების ნაწილი გააღიზიანა, ისინი უფრო აგრესიულები გახდნენ. დაიწყო ზემდგომ ორგანოებში საპროტესტო წერილების გაგზავნა. სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე, პარტიულ თუ სხვა სახის კრებებზე ურთიერთლანძღვა თითქმის ნორმად იქცა. ყოველივე ეს არა მარტო ჩემს ავტორიტეტს ლახავდა, არამედ აფხაზეთში ქართველთა ავტორიტეტსაც აზარალებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ საქმის კეთებაზე.

მათი მიზანი ჩემი დისკრედიტაცია და წონასწორობიდან გამოყვანა იყო. რექტორი, კომუნისტების დროს, ძალიან დიდი თანამდებობა იყო. იგი ავტომატურად ხდებოდა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პარტიული ფუნქციონერი, მას უპრობლემოდ შეეძლო ნებისმიერ სამთავრობო კაბინეტში შესვლა და ა.შ. ცხადია, ამ თანამდებობის დაკავების მოსურნეც ბევრი იყო. გამონაკლისი არც სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი გახლდათ.

სასწავლო დარგის პრორექტორმა ჩემს წინააღმდეგ საკმაოდ სერიოზული მოკავშირეები დაიყენა გვერდით, რომელთა შორის იყვნენ: პარტიული კომიტეტის მდივანი, სამეცნიერო დარგის პრორექტორი, საფინანსო სამსახურის უფროსი, კიდევ რამდენიმე კათედრის გამგე, მათ ზურგს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის რამდენიმე მაღალჩინოსანიც უმაგრებდა.

ბრძოლის მეთოდიც, მუხანათური შეარჩიეს... საჯარო დაუმორჩილებლობა და უპატივცემლობა. ასეთი ხელმძღვანელი კი... კოლექტივისთვის მხოლოდ დაცინვის ობიექტი შეიძლება ყოფილიყო. სხვათა შორის, ასეთი მეთოდით აიძულეს მათ წინა რექტორი (ძალიან დამსახურებული კაცი), მიეტოვებინა თანამდებობა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 93

არ გამოუვიდათ, ჩემს გამოუცდელობაზე გათვლილმა გეგმამ „ვერ გაგვიძლებს და გაიქცევაო“, არ გაამართლა. სულ რამდენიმე თვე დამჭირდა იმისთვის, რომ ისინი ნაფოტებივით მიმომეფანტა. პრორექტორებმა და პარტკომის მდივანმა, მარტო თანამდებობები კი არა, ინსტიტუტიც დატოვეს, ხოლო მათი მხარდამჭერები ჩემს დანახვაზე კედელს ეკვროდნენ, თუმცა მე მათი „დასჯა“ აზრადაც არ მომსვლია.

არსებობს კაცობის დაუწერელი კანონი, რომელიც ნაღდმა მამაკაცმა არ უნდა დაარღვიოს. როგორც მოვლენებმა აჩვენა, მათ ეს სკოლა გავლილი არ ჰქონდათ.

თანამშრომლები ხელმძღვანელში ძლიერ და სანდო ადამიანს უნდა ხედავდნენ, რომელიც არ ჩაიკეტება კაბინეტში და თავის კომფორტზე ნაკლებად იზრუნებს, იქნება ღია და მათთვის მისაწვდომი, რომელიც არ შელახავს მათ პატივსა და ღირსებას, იქნება მათი მოსარჩელე და ჭირის გამზიარებელი.

ადამიანები არ ტყუვდებიან, ისინი საღად აფასებენ ხელმძღვანელის საქმიანობას. თუ ხვდები, რომ კოლექტივთან ურთიერთობა არ გამოგდის, უნდა წახვიდე, კოლექტივი ღირსეულ წასვლასაც აფასებს. ცხადია, პრობლემებს არ უნდა წაუყრუო, შეცდომებზე თვალი არ უნდა დახუჭო, საჭიროების შემთხვევაში, მკაცრიც უნდა იყო და პრინციპულიც, საკუთარი შეცდომების აღიარებაც უნდა შეგეძლოს. კიდევ ბევრი რამ უნდა შეეძლოს ხელმძღვანელს. და რაც მთავარია, ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ პასუხს აგებს იმ ადამიანებზე, რომლებსაც ხელმძღვანელობს, რომ ის არის კოლექტივის წევრი... და არა პირიქით.

ადამიანებზე, დადებითად მოქმედებს ხელმძღვანელის უშუალობა, ცხოვრებისეული სითამამე, პირადი თვისების, ხასიათის და ქცევების გახსნილობა. ნათქვამის გასამყარებლად მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა.

ვისაც ფეხბურთი უთამაშია... დამეთანხმება, რომ ბურთს გულგრილად გვერდს ვერ აუვლი, ფეხის მოქნევას მაინც შეეცდები. როგორც ჩემი დროის ბავშვების უმრავლესობა, ფეხბურთს მეც ვთამაშობდი. სოხუმში წამოსვლამდე, „სასოფლოს“ შესანიშნავ სტადიონზე კვირაობით ვიკრიბებოდით მეგობრები და ბურთს ვაგორებდით, ვლაღობდით და ვერთობოდით...

იმ დღეს, ქალაქიდან შუადღეს დავბრუნდი. მანქანიდან გადმოსვლისას ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდი „შემეჩეხა“. სავარჯიშოდ მიდიოდნენ. ბურთების დანახვაზე „ყველაფერი დამავიწყდა“, სტუდენტებს ბურთის გადმოგდება ვთხოვე, რომელიც ძირს დაუშვებლად ფეხით „დავიჭირე“, ავკენწლე, მერე „ვერტიკალში“ გავუშვი, კიდევ რაღაცები გავაკეთე. ფეხბურთის „სტიქიაში მყოფი“ ტაშმა რეალობაში დამაბრუნა. თანამშრომლებმა და სტუდენტებმა, რომლებიც ჩემს „თამაშს“ შეესწრნენ, ღიმილით დამიკრეს ტაში, რითაც მოიწონეს ჩემი საქციელი.

სასწრაფოდ გავრცელდა ხმა ჩემს „ფეხბურთელობაზე“ და ამ თამაშის მოყვარულთა წრეც მალევე შეიკრიბა, რომელშიც ქალაქიდან მოსული „სერიოზული ბიძებიც“ თამაშობდნენ.

ასეა, პატარ-პატარა, ადამიანური, უბოროტო სისუსტეების „გამომზეურობას“ საზოგადოება სწორად აღიქვამს და თავადაც გახსნილი და პირდაპირია ხელმძღვანელთან ურთიერთობაში. მე არ ვმალავდი, რომ მიყვარდა მუსიკა, ვუკრავდი, ვმღეროდი, ვცეკვავდი, მიყვარდა მეგობრებში ყოფნა და ამას კოლექტივი ნორმალურად აღიქვამდა, უფრო მეტიც, „თავისიანად“ მთვლიდნენ... ეჰ, ნეტავი იმ დროს?!!

ძ. სოხუმი, საპირველმაისო დემონსტრაციაზე ინსტიტუტის სპორტსმენებთან ერთად.

დაპირისპირება, რომელიც შეიძლება „ბრეჟნევის კონსტიტუციის“ განხილვას მოჰყოლოდა

ჩემი რექტორობის მესამე წელი, სერიოზულ მოვლენებს დაემთხვა, რასაც აფხაზეთში, სერიოზული ხანძარი შეიძლება მოჰყოლოდა.

უზარმაზარი იმპერიის მეოთხე „ბელადმა“ ლეონიდ ბრეჟნევმა, როგორც ჩანს, გააცნობიერა, რომ თავისი ხანგრძლივი მმართველობის პერიოდში ქვეყნისთვის ღირებული ვერაფერი შექმნა და ისტორიაში დამკვიდრება ახალი კონსტიტუციის შემქმნელის სახელით მოინდომა.

დაიწყო რესპუბლიკებისა და რეგიონების მიხედვით, ახალი „გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის“ პროექტის საერთო სახალხო განხილვა-მოწონების გრანდიოზული პროცესი, რომელიც უნდა დამთავრებულიყო წინასწარ დადგენილ ვადებში. აფხაზეთის ავტონომიასაც ჰქონდა ასეთი ვადა დადგენილი და მისი შესრულება, მკაცრად კონტროლდებოდა.

კონსტიტუციის მოწონებამ, ქვეყანაში შეუქცევადი ხასიათი მიიღო. რესპუბლიკები, ოლქები, ქალაქები, საწარმოები, კოლმეურნეობები და ა.შ. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კრემლში „აღფრთოვანება-მოწონების“ წერილების გაგზავნაში. მხოლოდ საქართველო იყო „ჩუმად“, იგი არ ჩქარობდა და ამ ავისმომასწავებელმა სიჩუმემ კრემლიც შეაშფოთა.

ვიღაც ბრიყვმა კონსტიტუციაში ჩაწერა, რომ სსრ კავშირში სახელმწიფო ენად გამოცხადებულიყო მხოლოდ რუსული ენა!!! და მსოფლიოს გასაკვირად, საქართველოს გარდა, ყველა რესპუბლიკამ „წაუყრუა“ ამას?! მხოლოდ ქართველებმა ავტეხეთ განგაში.

ავისმომასწავებელი დაძაბულობა იყო აფხაზეთშიც. ქართველები „ცხელი დღეების“ მოლოდინში ვიყავით. ცხადია, აფხაზებიც „ხელსაყრელ“ მომენტს ხელიდან არ გაუშვებდნენ და პოლიტიკურ პრეტენზიებს, უფრო მეტი სიმძაფრით გააჟღერებდნენ. ამას საქართველოს ხელმძღვანელობაც აცნობიერებდა.

წინა საღამოს, პარტიის საოლქო კომიტეტში გამართულ ვიწრო თათბირზე, სტუდენტობისა და ახალგაზრდობის მოსალოდნელ გამოსვლებზე ითქვა. თათბირს მეც ვესწრებოდი – ნაპოლეონ, რა განწყობაა შენთან? – მკითხა სოხუმის ქალაქკომის მდივანმა გოგი ჟორჟოლიანმა.

– ვიცი, რომ საერთო საცხოვრებელში, სოხუმის ქართული სკოლების უფროსკლასელები და აფხაზეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართველი სტუდენტებიც იკრიბებიან და აპროტესტებენ კონსტიტუციის ამ ჩანაწერს.

– მერე? – მკითხა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ტ.ლორთქიფანიძემ.

– რა მერე?! სწორად იქცევიან! – ვუპასუხე მე.

– ჰო, ჰო, ალბათ... – იმ თათბირს მაშინ, მხოლოდ ქართველები ვესწრებოდით.

მეორე დილით სამსახურში მისულს მოედანი გადაჭედილი დამხვდა, გარეთ იყო გამოსული ყველა, სტუდენტებიც და ლექტორებიც.

– ბატონო რექტორო, დღეს სტუდენტები თბილისში აპირებენ წასვლას და გვინდა, რომ ჩვენც გავყვეთ, – მითხრეს თანამშრომლებმა.

არის ცხოვრებისეული მომენტები, რომლებიც მოითხოვეს მყისიერი გადაწყვეტილებების მიღებას, ამ დროს ორჭოფობა და ყოყმანი დაუშვებელია. სტუდენტები და თანამშრომლები თან წავიყოლე და კაბინეტში შევედი. ახლაც მახსოვს, მათი მოლოდინით სავსე თვალები...

– რითი აპირებთ წასვლას?

– ალბათ, მატარებლით, ბევრნი ვართ – იყო პასუხი.

– არ ივარგებს, მატარებელი საღამოს გადის, თუ მიდიხართ დროულად უნდა წახვიდეთ – ვთქვი და სტუდენტებს გადავხედე – ავტობუსები ჯობია...

– მერე ავტობუსებს ვინ მოგვცემს?

– მაგაზე მე ვიზრუნებ!.. – ვთქვი და სასწრაფოდ გადავრეკე ქალაქკომში გ.ჟორჟოლიანთან და ავტობუსები ვთხოვე, დეკანებს მივეცი მკაცრი დავალება... არ ამოეკითხათ ჟურნალები, საინსტიტუტო სასადილოს დაევალა ე.წ. „მშრალი ულუფების“ მომზადება, გადავრეკე თბილისში, უმაღლესი განათლების სამინისტროში, მინისტრის მოადგილე გ.მაქაცარიასთან და ვთხოვე თბილისში ჩასული სტუდენტების დაბინავება. ფაკულტეტის მიხედვით ახალგაზრდა თანამშრომლებისგან შევქმენი ჯგუფები, რომლებიც თან გაჰყვებოდნენ სტუდენტებს, საერთო ხელმძღვანელობა დავავალე იდეოლოგიის დარგში პრორექტორს, პროფ. ი.ნორაკიძეს. ასეთ ფაციფუცში ვარ, როდესაც სამთავრობო ტელეფონით პარტიის საოლქო კომიტეტის იდეოლოგიის დარგის მდივანმა დამირეკა:

– ნაპოლეონ ირაკლის ძევ, რა ხდება თქვენთან? – შეშფოთებულმა იკითხა მან.

– სტუდენტები თბილისში მიდიან! – მოკლედ ვუპასუხე.

– კი მაგრამ, ეს ხომ დაუშვებელია?

– მათ უნდათ მონაწილეობის მიღება თბილისში გამართულ სტუდენტთა დემონსტრაციაში...

– კი მაგრამ, შედეგებზე ვინ იღებს პასუხისმგებლობას?

– ჩვენ ყველანი... მე, პარტია,მთავრობა და ყველა ვისაც უფროსი თაობა გვქვია.

–ნუ... არ ვიცი, არ ვიცი – ჩაილაპარაკა მან და ყურმილი დაკიდა. იდეოლოგიის მდივანი აფხაზი იყო.

დღის 12 საათისთვის სტუდენტებით დატვირთული ავტობუსები, რომლებზეც უკვე მოესწროთ წითელი ტრანსპარანტების გაკვრა, თბილისისკენ დაიძრნენ. როგორც მოგვიანებით მაცნობეს, ტრასაზე გამოსული ხალხი მათ ტაშით ხვდებოდა, კოლონას წინ კი ავტოინსპექტორები მიუძღოდნენ!!! ნეტავი იმ დროს, ერი და ბერი ერთად ვიყავით და ჩვენმა ერთობამ ქვეყანას ქართული ენა შეუნარჩუნა.

ნაპოლეონ ქარქაშაძე

(გაგრძელება იძნება)

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კალათბურთი

რევანში

როგორც მოსალოდნელი იყო, სუპერლიგის პირველი ფინალური მატჩის წაგებამ რეგულარული სეზონის გამარჯვებულ და საკანდელიძე-ქორქიას მემორიალის მთავარი პრიზის მფლობელ „ოლიმპზე“ ციცი შხაპივით იმოქმედა.

„ოლიმპი“ — შსს აკადემია 86:65.

სერიის ანგარიში — 1:1

ყველაზე შედეგიანები: ბერიშვილი, სოკი — 17-17 ქულა („ოლიმპი“); რეიმონდი — 21 ქულა (შსს აკადემია).

დილეტანტიც ადვილად შეამჩნევდა, რომ პირველი ბრძოლის მოგებამ ძალოვანთა დიდი ფიზიკური და ფსიქოლოგიური რესურსები შეიწირა, რამაც თავი სარევანშო მატჩის მეორე ნახევარში იჩინა. სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, კრიტიკულ ვითარებაში ისეთ სოლისტებსაც კი უმტყუნა ძალებმა, როგორიც ვონი, პრევიტი და არჩიბეკი არიან.

რაც შეეხება მეტოქეს, მის ლიდერებს სწორედ შესვენების შემდეგ გაეხსნათ მეორე სუნთქვა.

დღეს სპორტის სასახლეში მესამე მატჩი 18 საათზე დაიწყება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალში ანგარიშით 3:1 თბილისის „დინამომ“ საჩხერის „ჩიხურა“ დაამარცხა.

◎ კონტაქტები

ქართველებმა ამერიკელ მეგობრებს საქართველო გააცნეს

ორ კვირაზე მეტ ხანს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ პენსილვანიის შტატის ქალაქ სტეიტკოლეჯის უნივერსიტეტის მოფარიკავეები მწვრთნელების - გია აბაშიძის, ვახტანგ იაგორაშვილის, ემანუელ კაიდანოვისა და ვიესლავ გლონის ხელმძღვანელობით.

ვახტანგ იაგორაშვილი 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორია თანამედროვე ხუთჭიდში. 1986 წელს კეთილი ნების თამაშები მოიგო პირადსა და გუნდურში, 1990 წელს კი პირად პირველობაში მეორე იყო, ევროპის ჩემპიონატებზე 1987 და 1989 წლებში სამი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, სამსამგზის მსოფლიოს (1989 წელს საქართველოს, 1999 და 2000 წლებში — აშშ-ის სახელით), საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ჩემპიონია, 1998 და 2004 წლებში მსოფლიოს პირველობებზე ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ერთხელ პანამერიკული თამაშები მოიგო.

სახელოვანი მოფარიკავეა გია აბაშიძე — გუნდურში საბჭოთა კავშირის 1979 წლის ჩემპიონი, რაპირაში ახალგაზრდებს შორის საკავშირო პირველობების ხუთგზის გამარჯვებული, რომელიც წლების განმავლობაში საკავშირო ნაკრების წევრი იყო და წარმატებით ასპარეზობდა საერთაშორისო სარბიელზე. გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია აირია, ორივე სპორტსმენმა ამერიკის შეერთებულ შტატებს მიაშურა. იაგორაშვილი 1991 წელს გაემგზავრა ოკეანის გაღმა, 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის ჩათვლით საქართველოს სახელით გამოდიოდა, მერე ბოსტონში ფარიკაობის საკუთარი კლუბი დააარსა და იქაური მოქალაქეობაც მიიღო, ახალგაზრდებსა და კადეტებში ამერიკის მრავალი ჩემპიონი და პრიზიორი გაზარდა. 1994 წლიდან პენსილვანიის შტატის სტეიტკოლეჯში ცხოვრობს და ფარიკაობის მწვრთნელად მუშაობს გია აბაშიძე. თვალსაჩინო წარმატებები აქვს: მისმა შეგირდებმა — ჰენა ტომსონმა და დორის ვილეტმა 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე გუნდურში ქალთა შორის ვერცხლის მედლები მოიპოვეს რაპირაში, კოლდი მეთერნი გუნდურში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონია დაშნით ფარიკაობაში.

მექსიკას 1992 წლის შემდეგ ოლიმპიადებზე მოფარიკავე არ ჰყოლია. 2012 წელს კი ლონდონში გია აბაშიძის შეგირდმა დანიელ გომესმა იასპარეზა. ამერიკელთაგან გუნდურში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები არიან დევიდ ვალეტი, მეტა ტომსონი, ანდრას ჰესონი და ნაბუო ბრავო.

მსგავსი გზა განვლეს ხარკოველმა ემანუელ კაიდანოვმა და პოლონელმა ვიესლავ გლონმა, რომლებმაც 70-იანი წლების მიწურულს მიაშურეს ამერიკას. დღეს ოთხივენი სტეიტკოლეჯის უმაღლეს სასწავლებელში მუშაობენ. კაიდანოვი მთავარი მწვრთნელია.

— ჩვენს უნივერსიტეტში 42 ათასი სტუდენტი სწავლობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, — გვითხრა მან. — ფარიკაობაში 350-ზე მეტი გოგონა და ვაჟი ვარჯიშობს. გვაქვს ორი დიდი დარბაზი 19 საფარიკაო ბილიკით, ასევე, ტრენაჟორების ოთახი და მცირე ზომის საცურაო აუზი. ინვენტარსა და სხვა დამხმარე საშუალებებზე აღარაფერს ვამბობ. წარმატებებსაც ვაღწევთ — ბოლო 20 წლის განმავლობაში ამერიკის უნივერსიადები 12—ჯერ მოვიგეთ, ამერიკის მოფარიკავეთა ნაკრებმა შარშან მსოფლიოს თასი რომ მოიპოვა, იმ გუნდში ორი ჩვენი სტუდენტი იყო.

— საქართველოში პირველად ჩამოხვედით?

— 1958 წლიდან ბევრჯერ ვყოფილვარ თქვენს ქვეყანაში შეჯიბრებებზე. უამრავი მეგობარიც მყავს — იური ოსიპოვი, არჩილ გოგელია, ახლოს ვიცნობდი მორის სახვაძეს და ნუგზარ ასათიანს. აგერ, ჩემმა ერთმა მეგობარმა ნიკოლოზ ანდრიაძემ, რომელიც რაპირას არ ეშვება, ვეტერანებში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაო მოიპოვა. ვულოცავ.

— ამჯერად რა მისიით ეწვიეთ საქართველოს?

— ამ კითხვაზე უკეთ გია აბაშიძე გიპასუხებთ.

გია აბაშიძე: ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა რამდენიმე წლის წინათ სპეციალური ფონდი გახსნეს. იქ დაგროვებული თანხით ოთხ წელიწადში ერთხელ უნივერსიტეტის მოფარიკავეთა ნაკრები სხვადასხვა ქვეყანაში მიგვყავს ერთობლივი საწვრთნელი შეკრებებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით; თან მასპინძელთა კულტურას, ღირსშესანიშნაობებს ვეცნობით. დიდი ხანი ვოცნებობდი, ამერიკელი სტუდენტებისთვის ჩემი სამშობლო გამეცნო. ბედნიერი ვარ, რომ მიზანს მივაღწიე. 13 მოფარიკავე ჩამოვიყვანეთ. ორი კვირის განმავლობაში ბევრი ისტორიული ადგილი დავათვალიერებინეთ და მასპინძლებთან ერთობლივი ვარჯიშებიც გავმართეთ. ამერიკელები ნანახითა და ქართული სტუმართმოყვარეობით მოხიბლული არიან.

— თქვენი ვიზიტი პროფესიულ კონტაქტებსაც ხომ არ ითვალისწინებს?

— ქართველი მოფარიკავე თეოდორა კახიანი სექტემბრიდან სტეიტკოლეჯის უნივერსიტეტში ისწავლის უფასოდ და ამ სასწავლებლის ღირსებას დაიცავს, საერთაშორისო სარბიელზე კი საქართველოს სახელით გამოვა.

ვიესლავ გლონი: საქართველოში ორჯერ ვარ ნამყოფი, მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ. მაშინდელის დღევანდელთან შედარებაც არ შეიძლება. ძალიან მესიამოვნა, რომ ფარიკაობის ფედერაციას ქალაქის ცენტრში შესანიშნავი დარბაზი აქვს. ბევრი ახალგაზრდა ვარჯიშობს და თქვენი სპორტსმენები ბოლო სამი წლის განმავლობაში საერთაშორისო სარბიელზე წარმატებებსაც აღწევენ. ხშირად ვხვდები შეჯიბრებებზე ნაკრების მთავარ მწვრთნელ მერაბ ბაზაძეს, ფედერაციის გენერალურ მდივან დავით სახვაძეს და ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, რაც, ვიმედოვნებ, ორი ქვეყნის სპორტსმენების კონტაქტებითაც გამყარდება.

ემანუელ კაიდანოვი: ამგვარ ურთიერთობებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. 15 წლის წინათ ამერიკელი მოფარიკავის 32 საუკეთესოში მოხვედრა წარმატება იყო, დღეს კი ისინი თვით ოლიმპიურ თამაშზე ფავორიტები არიან, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ტურნირებზე. ამიტომ კონტაქტების გაძლიერებით ქართველი მოფარიკავეები უწინდელ ტრადიციებს დაიბრუნებენ.

— სტუმრებს მეც დავთანხმები — ჩვენი ორი ქვეყნის მჭიდრო კონტაქტები ქართველ სპორტსმენებს დაოსტატებაში დაეხმარება, — გვითხრა მსოფლიოს ჩემპიონმა, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა **იური ოსიპოვმა.** — სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთობლივმა ვარჯიშებმა, შეჯიბრებებში ხშირმა მონაწილეობამ, საუკეთესო მწვრთნელთა მიზიდვამ ფარიკაობა ამერიკაში სპორტის წამყვან სახეობად აქცია. ამ საქმეში კაიდანოვს, გლონს, იაგორაშვილსა და აბაშიძეს დიდი დამსახურება მიუძღვით. გიას და ვახტანგს სამშობლოში დაბრუნებისა და აქ მუშაობის დიდი სურვილი აქვს, მაგრამ ამჟამად მათს ჩამოსვლას აზრი არა აქვს, რადგან სათანადო პირობებს ვერ შევუქმნით. თუმცა, ვიმედოვნებ, რომ ეს დროც მალე დადგება და ორივე სპეციალისტი ქართველი მუშკეტერების დაოსტატებაში საკუთარ წვლილს შეიტანს

ვაჟა დანელია

სურათზე: მარცხნიდან — დავით სახვაძე,გია აბაშიძე, ემანუელ კაიდანოვი, ნიკოლოზ ანდრიაძე, ვიესლავ გლონი და ვახტანგ იაგორაშვილი.

ავტორის ფოტო.

◎ რეტრო

100 წლის ძია მიშას, იგივე „პროფესორას“ გახსენება

სათაურში მოტანილი სიტყვა „პროფესორა“ რომ წაიკითხე, ალბათ, მიხვდი, მკითხველო, ვისზეა ლაპარაკი. დიახ, თავისი საქმის ნამდვილი პროფესორის, ცნობილი ფოტოხელოვანის, გაზეთ „ლელოს“ ფოტოკორესპონდენტის, ჩვენი უფროსი კოლეგის მიხეილ ზარგარიანის ორი ისტორიული ფოტოსურათი მინდა შემოგთავაზოთ.

ერთ-ერთი 1965 წლის 4 ივლისს მოსკოვში, „ლუჟნიკების“ სტადიონზე ბრაზილიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრის შემდეგ არის გადაღებული, სადაც

ფეხბურთის „მეფე“, ბრაზილიელი პელე საბჭოთა ნაკრებში მოთამაშე ქართველებთან — გიორგი სიჭინავასთან, სლავა მეტრეველთან, ანზორ კავაზაშვილთან და მიხეილ მესხთან ერთად არის აღბეჭდილი.

მეორე ფოტო („მესხის ფინტი“) თბილისის „დინამოს“ ლეგენდარულ თავდამსხმელს ქართული სპორტის მშვენებასა და სიამაყეს — მიხეილ მესხს გადაუღო, რომელმაც თავისი ცნობილი ფინტით თავბრუ დაახვია ბრაზილიის გუნდ „ბაიას“ მცველ ალბერტო პერეირას.

მიხეილ ზარგარიანი დაიბადა თელავში საუკუნის წინათ. 1913 წლის 2 აპრილს. მისი ექვსსულიანი ოჯახის საცხოვრებლად თბილისში გადმოსვლის შემდეგ მიხეილი ერთხანს მძღოლად მუშაობდა. მალე იგი სახელგანთქმული კინორეჟისორის, სტალინური პრემიის ლაურეატის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის მიხეილ ჭიაურელის პირადი მძღოლი გახდა. იმ პერიოდშივე შეისწავლა ფოტოსაქმე და 1952 წლის შემოდგომაზე გაზეთ „ლელოს“ მაშინდელმა რედაქტორმა ერემო მახათაძემ ბატონ მიხეილ ჭიაურელის რეკომენდაციით ფოტოკორესპონდენტად აიყვანა.

ძია მიშას საერთოდ სპორტის და განსაკუთრებით ფეხბურთის მოყვარულები მოფერებით „პროფესორას“ ეძახდნენ (ეს სახელიც მ. ჭიაურელმა შეარქვა). მის ნამუშევრებსა და პიროვნებას კარგად იცნობდნენ კოლეგები — ჟურნალისტები, ქართული სპორტის მოყვარულები. ამას წინათ მის ქალიშვილს, ინგლისური ენის სპეციალისტ ქალბატონ ირინეს შევეკითხე, მამათქვენს „პროფესორას“ რატომ ეძახდნენ-მეთქი. მიპასუხა: ალბათ, თავისი საქმის პროფესორი რომ იყო, იმიტომო. მართლაც, ძია მიშა თავისი საქმის ნაღდი პროფესორი იყო. მან გაზეთ „ლელოში“ მუშაობის თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში ქართული სპორტის ისტორიას ასობით ქართველი, საბჭოთა და საზღვარგარეთელი სპორტსმენის სახე შემოუნახა.

დასასრულ, ბატონ მიშას შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებული ერთი კურიოზიც მინდა გაგიმხილოთ. 1966 წელია, ინგლისში „უემბლის“ სტადიონზე ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი მატჩია. სტადიონზე, როგორც იტყვიან, ნემსს ვერ ჩააგდებს კაცი. ბატონი მიშა კოლეგებთან ერთად მოედანზეა გასული მატჩის პერიპეტიების გადასაღებად. უცებ სტადიონის ტრიბუნებიდან გაისმის შეძახილი „პროფესორ“, „პროფესორ“... მიშა უცებ შეცბა, ასეთი რამ მისთვის ცნობილი იყო საქართველოსა და სსრ კავშირის ბევრი სხვა ქალაქის სტადიონებიდან, მაგრამ ნისლიან ალბიონზე ამას ნამდვილად არ მოელოდა.

როგორც გაირკვა, მატჩს ესწრებოდნენ სუხიშვილების ანსამბლის მოცეკვავეები და სწორედ ისინი შეხვდნენ შეძახილებით თავიანთ თანამემამულეს.

ვარლამ გენგიური,

ვეტერანი ფოტოკორესპონდენტი, ღირსების ორდენის კავალერი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სპორტ-ბიზნესი

მყვირალა მაშას მეორე „პორშე“ და... მეორე სატრფო

რუსეთელი ჩოგბურთელის მარია შარაპოვას თამაშის დროს ყვირილის სიძლიერე — 105 დეციბელი — სულ ცოტათი ჩამოუვარდება ვერტმფრენის ძრავის ხმაურს (110 დეციბელი), თუმცა, ეს მას სულაც არ უშლის ხელს მსოფლიოში ყველაზე მეტი წლიური შემოსავლის მიმღებ სპორტსმენ ქალად დარჩეს.

მაისის დამდეგიდან მოყოლებული, მან გერმანულ ავტოკონცერნ „პორშესთან“ მეტად სარფიან სარეკლამო კონტრაქტს მოაწერა ხელი, შტუტგარტის ტურნირში მეორედ გამარჯვებისთვის ამავე ფირმის კიდევ ერთი სპორტული ავტომანქანა მოიგო და მშობლიურ რუსეთში მარმელადის კანფეტების ბრენდი აამოქმედა, რომლის ერთი პატარა პარკი დაახლოებით 6 დოლარი ეღირება.

შარშან მარია შარაპოვამ 27,9 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, მეორე ადგილზე ამ მაჩვენებლის მიხედვით ჩინელი ჩოგბურთელი ნა ლია (18,4 მილიონი დოლარი), მესამეზე — ამერიკელი ჩოგბურთელი სერენა უილიამსი (16,3 მილიონი დოლარი). საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში ყველაზე შემოსავლიან სპორტსმენ ქალთა პირველ ათეულში შვიდი ჩოგბურთელია, მათ შორის დანიელი კაროლინა ვოზნიაცკი (16,3 მილიონი დოლარი, სიის №4), ბელარუსი ვიქტორია აზარენკა (9,7 მილიონი დოლარი, №6), სერბი ანა ივანოვიჩი (7,2 მილიონი დოლარი, №8), პოლონელი ანგეშკა რადვანსკა (6,9 მილიონი დოლარი, №9). ჩოგბურთელთა გარდა ტოპ-ათეულში ასევე არიან ამერიკელი დანიკა პატრიკი (ავტოსპორტი, 13 მილიონი დოლარი, №5), სამხრეთკორეელი იუ-ნა კიმი (ფიგურული სრიალი, 9 მილიონი დოლარი, №7) და ჩინელი იანი ტსენი (გოლფი, 6,1 მილიონი დოლარი, №10).

სპორტული ჭორების მოყვარულებმა იციან, რომ წლეულს მარია შარაპოვა ამერიკის NBA-ში მოთამაშე სერბ კალათბურთელზე საშა ვუიაჩიჩზე აპირებდა გათხოვებას, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქორწინება არ შედგა, ბევრი არ უდარდია. ცოტა ხნის წინათ მადრიდის თითქმის ყველა გაზეთში მისი და ბულგარელი ჩოგბურთელის გრიგორ დიმიტროვის ფოტოები გამოჩნდა, რომლებიც ქუჩაში ერთმანეთს ნაზად ეხუტებოდნენ და ვნებიანად კოცნაობდნენ. აჟიოტაჟის გამომწვევი ფოტოსურათების გამოქვეყნების წინა დღეს კი გრიგორ დიმიტროვმა ესპანეთის დედაქალაქში გამართული საჩოგბურთო ტურნირის მეორე წრეში სენსაციურად დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი ნოვაკ ჯოკოვიჩი, ხოლო თავის მხრივ მაშა მორიგი გამარჯვების შემდეგ პრესკონფერენციაზე საკმაოდ გულახდილი იყო.

— დიახ, ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს, იმ დღესაც ერთად ვერთობოდით, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ამ დროს ვიღაცები ფოტოებს გვიღებდნენ. თუმცა კი, საჩოგბურთო კორტს მიღმა უკვე ჩვენი პირადი ცხოვრებაა, რომლის გაზიარება მხოლოდ ერთმანეთისთვის და არა მთელი საზოგადოებისთვის გვინდა.

რაც შეეხება შეკითხვას, ხომ არ აპირებენ ისინი კორტზე წყვილის შექმნას, 26 წლის მაშამ, რომელიც თავის ახალ რჩეულზე ოთხი წლით უფროსია, უპასუხა:

— წყვილში ბოლოს ათი წლის წინათ ვითამაშე და ეს ცდა მაინცდამაინც წარმატებული არ გამოდგა.

ერმა ერემაშვილი

◎ ჩვენი კარაბადინი

არ იძაბებიან!

რატომ არიან ჩინოვნიკები ყველაზე ჯანსაღები?

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯანმრთელობისთვის ყველაზე მავნე და ყველაზე სასარგებლო პროფესიების რეიტინგი შეადგინეს. მედიკოსების აზრით, ყველაზე უარესად არიან იურისტები და გამყიდველები. აი ვისაც გაუმართლა — ეს ჩინოვნიკები არიან.

ყველაზე მავნე პროფესიები

● **ბუხპალტერი და ოფისის მოსამსახურეები**

ჯდომით სამუშაო 9-დან 18 საათამდე შეხუთულ ოფისში იწვევს ტკივილს ზურგში და სიმსუქნეს. ვერ შველის ვარჯიშიც კი, ამტკიცებენ მკვლევარები. დაგვეხმარება რეგულარული შესვენებები

ყოველ 1-1,5 საათში და სუფთა ჰაერი (და არა კონდიციონირებული). ასე რომ, ხშირად გამოაღეთ ხოლმე ფანჯრები.

● **ექიმი და მედდა**

მათ ხშირად ემუქრებათ დიაბეტის, კოლიტებისა და ინფარქტის განვითარების რისკი. ამის მიზეზია სტრესის ჰორმონები, რომლებიც გამოუმუშავდებათ ამ პროფესიების წარმომადგენლებს ღამის მორიგეობისა და პაციენტების ნაკადის გამო.

● **მუშა, მეშახტე**

მძიმე ფიზიკური შრომა თავისთავად მეტყველებს ამის შესახებ. ამავე კატეგორიაში შედიან მეთევზეები, აგრონომები და ფერმერები.

● **ვადიანი სამსახურის ჯარისკაცი**

როლს ასრულებენ არაჩვეულებრივი ფიზიკური დატვირთვები, იმის აუცილებლობა, რომ ხშირად უხდებათ გადაწყვეტილებათა მიღება სხვადასხვა სიტუაციებში და განშორება მახლობელ ადამიანებთან.

● **მეხანძრე, პოლიციელი**

იმის რისკი, რომ მიიღო ტრავმა — მთავარი არ არის. მეხანძრეთა უმრავლესობა ინფარქტებისგან იღუპება, და არა ცეცხლში. ეს ხალხი ყოველთვის დაძაბულია: მუდმივად უნდა იყვნენ მზად, გავიდნენ გამოძახებაზე. ეს უდიდესი სტრესია. მას ართულებს გამოუძინებლობა და წახემსებანი სრულფასოვანი კვების ნაცვლად.

● **იურისტი**

სამუშაოს ანაზღაურებენ საათების ან კონტრაქტების მიხედვით — რაც ხანგრძლივია სამუშაო დღე, მით მეტს მიიღებ. დროზე შეჩერება ყველას არ შეუძლია. თანაც იურისტები მუდმივად ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან — კლიენტის, სასამართლოს მხრიდან.

● **გამყიდველი, პარიკმახერი**

დაბალ ხელფასსა და მომსვლელთა ყოველდღიურ უზრდელობასა და უკმაყოფილებას ართულებს დახურულ, უჰაერო სათავსოებში მუშაობა.

● **მძღოლი**

ავტობუსების მძღოლებს, ტაქსისტებსა და შორსმიმავალი ტრანსპორტის მძღოლებს სხვებზე უფრო ხშირად უმწვავდებათ ქრონიკული დაავადებანი. ამას პლუს გამონაბოლქვი გაზების მავნეობა.

ყველაზე სასარგებლო პროფესიები

● **ფლორისტი და ლანდშაფტის დიზაინერი**

ყვავილებთან და მცენარეებთან მუშაობას არ ახასიათებს სტრესი და იგი აწესრიგებს წნევას. სხვა ბონუსებს შორის მეცნიერები აღნიშნავენ იმასაც, რომ ფლორისტები აღმოჩნდებიან ხოლმე ადამიანების გვერდით მათთვის ყველაზე ამაღელვებელ მომენტებში — ე.ი. იმუხტებიან პოზიტივით.

● **პროგრამისტი**

თითქოსდა, კომპიუტერთან მუდმივ ჯდომას ჯერჯერობით არავისთვის მოუტანია დამატებითი ჯანმრთელობა. მაგრამ მკვლევარები განმარტავენ: კომპიუტერის მუშაკები ხდებიან მხოლოდ ის ადამიანები, ვისთვისაც ეს მართლაც საინტერესოა, და შრომაშიც მათთვის მნიშვნელოვანია შედეგი და არა დახუთულ ოფისში გატარებული საათების ოდენობა.

● **ჩინოვნიკი**

ბონუსები სასამსახურო ოთახების, მანქანების სახით, კარგი კვება. და, დაე, მათ აკრიტიკებდეს ხალხი — ჩინოვნიკებს ეს გულთან არ მიაქვთ.

● **დაზღვევის მუშაკი**

ამ პროფესიის წარმომადგენელთა მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათ სტრესისა და ფიზიკური დაძაბულობის დაბალი დონე აქვთ — უხეშად რომ ვთქვათ, ისინი ძალიან არ იძაბებიან.

● **ფიტნესის ინსტრუქტორი**

ისინი ვერსად გაექცევიან ფიზიკურ დატვირთვას, თანაც შეიძლება მოაწესრიგო მუშაობის საკუთარი გრაფიკი.

ექსპერტის აზრი

ფსიქოლოგი თენგიზ აბაზაძე:

— მუშაობამ კმაყოფილება, სიამოვნების გრძნობა უნდა მოგიტანოს. ამას დიდად უწყობს ხელს შესაძლებლობა, გადაწყვიტო ახალი ამოცანები, ე.ი. გაიზარდო და წახვიდე ზევით, და თუ არა საკარიერო კიბეზე, არამედ თუნდაც სრულყო საკუთარი გამოცდილება. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოწოდება. ვიღაცას აქვს იმის ნიჭი, რომ გაყიდოს, ვიღაცისთვის კი საქონლის შეთავაზება იქნება სტრესი. მნიშვნელოვანია ატმოსფეროც კოლექტივში — თანამოაზროვნეთა შორის ყველაზე რთული და სახიფათო ან, პირიქით, რუტინული სამუშაოს შესრულება ყოველთვის უფრო იოლია.

ინტერნეტ-გამოკითხვა

ყველაზე სტრესული პროფესია?

- **მასწავლებელი — 23 პროცენტი (399 ხმა)**
- **მეშახტე — 16 პროცენტი (267 ხმა)**
- **ექიმი — 9 პროცენტი (186 ხმა)**
- **არ განიცდის სტრესს ის, ვინც არ მუშაობს — 41 პროცენტი (699 ხმა)**

მთლიანად ხმების ოდენობა — 1710.

◎ ტატუ

სად გასცემენ დიდებასა და კეთილდღეობას?

„სიცოცხლესა და სიკვდილს გვანიჭებს ბედი, ჩინებსა და კეთილდღეობას სამოთხე გასცემს“, — ასე ითარგმნება დევიდ ბექჰემის ტატუირება ჩინური ენიდან. სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა, ფორტუნის მოყვარულმა განაცხადა თავისი კარიერის დასასრულის შესახებ. იქნებ სამოთხე გასცემს კიდეც პრივილეგიებს, მაგრამ არ იძლევა გარანტიას, რომ მიიღებს შემდეგ მათს მფლობელს. აი, ძაღლების შესახებ კი ამბობენ, რომ ყველა მათგანი ცაში ხვდება. ამ სპანიელს მიწიერი ცხოვრებაც უმართლებს. თავისი დიასახლისის საყვარელი ცხოველი მის ფეხზე პორტრეტად გაჩენასაც კი ეღირსა.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ინფორმაცია

ქრთამის აღების ფაქტზე, „იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის“ დირექტორი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე, „იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის“ დირექტორი მიხეილ გოგებაშვილი და მოქალაქე აკაკი მაისურაძე დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ გოგებაშვილმა ყალბი ცნობისა და ყალბი ხელშეკრულების დამზადების სანაცვლოდ, ქრთამის სახით 750 ლარი აიღო.

მათივე ინფორმაციით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტერპრესი

საბურთალოს ქუჩის 40 I კორპუსის მეზობლები და მეგობრები თანაუგრძნობენ მანანა, გელა გელაშვილებს ძვირფასი დედის, ღვაწლმოსილი პედაგოგისა და უკეთილშობილესი ქალბატონის

მარგო ზურაბიშვილი-გელაშვილის

გარდაცვალების გამო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სულიერება

საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებელი სიმონ კანანელი

23 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს სვიმონ კანანელს, რომელიც იმ ათორმეტ მოციქულთაგანია, რომელიც უფლის თვითმხილველი, გვერდზე მდგომი, სარწმუნო დამმარხველია.

...ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა უფალს სთხოვა, რომ სიმონ კანანელის ქორწილში წყალი ღვინოდ ექცია. ღვთისადმი სიყვარული ძალიან დიდია სიმონ კანანელისა, ამას ბევრი მისი ქმედება მოწმობს...

მაცხოვარმა მის ქორწილში გამოამჟღავნა თავისი ღვთაებრივი ბუნება...

საგულისხმოა, რომ სიმონ კანანელმა მრავალ ქვეყანაში იქადაგა ქრისტეს მოძღვრება, მათ შორის ანდრია პირველწოდებულთან ერთად იბერიაშიც.

„ჭეშმარიტად მირონი არის ღვთის წინაშე დაღვრილი სიმონ კანანელის მიერ, მოწამეობრივი ოფლი და სისხლი, და დღეს, როდესაც წმინდა მოციქულის სიმონ კანანელის მიერ კურთხეული აფხაზეთი ყოველი ქართველის ჭრილობად იქცა, შევევედროთ დიდ წმინდანს, შეგვეწიოს და შევთხოვოთ მის სახიერებას საქართველოს მთლიანობისა და სულიერი ამაღლებისთვის!“ — ბრძანებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II თავის ერთ-ერთ ქადაგებაში.

გიული ლიპარტია

◎ ქორწილი

ციფრებსა და ფაქტებში

ტრადიცია — მივართვათ საქორწილო დიდი პურის კვერი — მოდის ძველი რომაელებისგან. რომში ახალგაზრდებს ცოლ-ქმრად არ მიიჩნევდნენ, სანამ ისინი ერთდროულად არ შეჭამდნენ თითო ლუკმა საქორწილო ღვეზელს.

საქორწილო ცერემონიის ხელშეკრულების 5 პროცენტზე ნაკლები მოდის იანვარზე. ეს ქორწინებისთვის ყველაზე არაპოპულარული თვეა.

ჩამსხვრეული ფანჯრები ან სარკეები — ჩვეულებრივი მოვლენაა იტალიურ ქორწილში. მიაჩნიათ, რომ ნამსხვრევების ოდენობა იქნება იმდენი, რამდენ ბედნიერ წელსაც ერთად გაატარებს წყვილი.

პატარძლის კლასიკური მორთულობა — თეთრი ფერისაა. ეს ტრადიცია არც ისე დიდი ხნის წინათ გაჩნდა: პირველად ასეთი კაბა XVIII საუკუნეში თავის ქორწილში პრინც ალბერტთან ბრიტანეთის დედოფალმა ვიქტორიამ ჩაიცვა.

პატარძლების 22 პროცენტი გათხოვების პირველ კვირაში წუხს თავისუფლების დაკარგვის შესახებ.

128 მილიონი დოლარი დახარჯა ქორწილზე ორი თავისი ვაჟიშვილისა, რომლებიც 2004 წელს ერთ დღეს დააქორწილა ინდოელმა ბიზნესმენმა სუბრატა როიმ. სტუმრებმა 100-ზე მეტი კერძი დაადგმევნეს, დელიკატესები არც დაახლოებით 40 000 მათხოვრისთვის დაიშურეს.

ყველაზე დიდ საქორწილო კერძს ამზადებენ ბედუინები. იგი შედგება მოხარშული კვერცხებისგან, რომლებსაც ათავსებენ თევზში, თევზს ათავსებენ ქათმებში, ქათმებს — შემწვარ ცხვარში, ცხვარს კი — შემწვარ აქლემში.

„წითელი ქორწილი“ — ესაა 100 წლის ხანგრძლივობის ქორწილი. დღეს ასეთი იუბილის აღნიშვნის მხოლოდ ერთი შემთხვევაა ცნობილი. მთელი საუკუნე იცხოვრეს ერთად ცოლ-ქმარმა აგაევებმა აზერბაიჯანიდან. წითელი ქორწილის დღისთვის „სიძე 126 წლისა იყო, „პატარძალმა“ კი თავისი დაბადების 116-ე დღე აღნიშნა.

რუსეთში საქორწინო სეირნობის რიტუალის მეორე ნაწილი იყო „წითელი მაგიდა“. პირველ ნაწილში კი, რომელსაც „შავი მაგიდა“ ეწოდებოდა, პატარძალი რიტუალურ სამოსში მიდიოდა ეკლესიაში. ასე ხდებოდა რიტუალური „დაკრძალვა“ პატარძლისა, რომელიც ზრდასრულ ცხოვრებაში გადადიოდა.

ახალდაქორწინებულთა კოცნის ჩვეულება ქორწინების ცერემონიის ბოლოს ჩვენთან ძველი რომიდან მოვიდა. მაშინ ქორწილს განიხილავდნენ, როგორც კონტრაქტს, კოცნა კი იყო ბეჭედი, რომელიც ადასტურებდა ხელშეკრულებას.

საქორწილო ბეჭდები ევროპაში XVIII საუკუნეში გაჩნდა, როდესაც რომის პაპმა ინოკენტი III-მ შემოიღო მოცდის დრო ნიშნობისა და თავად ქორწილს შორის და დაადგინა, რომ ბეჭდები ერთგულების სიმბოლოა.

◎ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲠᲔᲡᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢᲘ

ვაუშინოლი ვახელებთან

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲘᲠᲙᲘᲢᲐᲫᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲘᲫᲪᲐ?

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲘᲠᲙᲘᲢᲐᲫᲔ საქართველოს დატოვებას აპირებდა და, მართლაც, „ალიას“ სანდო წყარომ აცნობა, რომ ქვემო ქართლის გუბერნატორმა საქართველო დატოვა. წყაროს ინფორმაციით, კირკიტაძემ ქვეყანა მას შემდეგ დატოვა, რაც რეგიონალური განვითარების სამინისტრომ მასალები პროკურატურაში გადააგზავნა, სადაც კირკიტაძის ინტერესებზეც არის საუბარი. კერძოდ, საუბარია ბუფერულ ზონაზე, რომელიც ქვემო ქართლის გუბერნიის ტერიტორიაში შედის და რომელიც კერძო პირმა იყიდა. უცხოეთში სასწავლებლად წასვლის შესახებ კირკიტაძის განცხადება სისულელეა, ამბობს „ალიას“ სანდო წყარო.

„ᲐᲚᲘᲐ“

ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲐᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ

ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ხმები ამბობენ, რომ მერაბიშვილის წინააღმდეგ ხელისუფლებას შესაძლოა, კომპრომატები დათა ახალაიამაც მიაწოდა. ეს უკანასკნელი წლების განმავლობაში მერაბიშვილის მოადგილე და მარჯვენა ხელი იყო, მათ ბევრი საქმე აქვთ ერთად გაკეთებული და თუ დათა ახალაია მართლაც ალაპარაკდა, მერაბიშვილი შავ დღეში ჩავარდება. საინტერესოა, ნაციონალები ვანოსაც ბაჩო ახალაიასავით მიატოვებენ თუ არა.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡ ᲫᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ქართულენოვანი ლიტერატურის ნაკლებობას უჩივიან და ამბობენ, რომ სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალება არ ეძლევათ. ეს პრობლემა დიდი ხანია დგას. ამაზე აქტიური საუბარი ჯერ კიდევ 2 წლის წინ დაიწყო. სტუდენტების საინიციატივო ჯგუფის მცდელობას გარკვეული შედეგები მოჰყვა, მაგრამ დღეს ისევ არის ამ პრობლემაზე საუბარი. „მუდმივი ქსეროასლების რიგში ვდგავართ. არ არსებობს წიგნები ქართულად და ქსეროასლებსაც ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან ვიღებთ. ინგლისური ხომ ყველამ არ ვიცით, თანაც ზოგჯერ ისეთი ტერმინია, ინგლისურად კი არა ქართულად არ გვესმის“, — ამბობენ სტუდენტები.

„ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ“

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ᲙᲐᲓᲠᲘ

ეს ბულდოგი მაჩვზღარბის თავდასხმისგან დაზარალდა. ვეტერინარებმა ძაღლის სახიდან 500-ზე მეტი ნემსი ამოიღეს.

◎ ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

— ᲝᲘ, ბიჭებო, როგორ მტკივა კისერი!
— კრუსუნებს პეტკა
— ???
— გუშინ გავცივდი, წელი მტკიოდა, მაგრამ ცოლმა დამამშვიდა, სპირტით დაგზელ და გაგივლისო.
— მაგრამ კისერი რა შუაშია?
— როგორ თუ, რა შუაშია! როდესმე გიცდიათ ზურგიდან სპირტის ალოკვა?

* * *

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ჭკვიანი ცხოველები არიან დელფინები, მაიმუნები და ადამიანები.

პირველნი ყველაზე კარგად ცურავენ ზღვაში, მეორენი ყველაზე კარგად ჭამენ ხილს, მესამენი კი წელიწადში 11 თვის განმავლობაში ვირივით მუშაობენ, რათა მერე ერთი თვე ზღვაში იჭყუმპალაონ და ხილი ჭამონ.

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ სილამაზეს კოსმეტიკით ვერ გააფუჭებ.

* * *

— ᲩᲔᲛᲛᲐ ცოლმა ერთ წელიწადში ოთხმოცი კილოგრამი მოიმატა! — წუწუნებს ივანიჩი.
— გააგდე სახლიდან, ეგ ღორი ეგა!
— უკვე გვიანია, შემოსასვლელ კარში ვერ გაეტევა.

* * *

ᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐᲨᲘ კოღოებისგან საშინლად დაკბენილი და უძილობით გატანჯული ტიპი შევიდა:
— კოღოების საწინააღმდეგო რაიმე ძლიერი წამალი გაქვთ?
— კი, ბატონო, ეს სითხე ძალიან აფრთხობს და კლავს კიდეც მათ.
— არა, მე მინდა, რომ ისინი არა მხოლოდ დაიხოცონ, არამედ სიკდვილამდე ძალიანაც დაიტანჯონ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲡ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ 599 53-76-16;
ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ 599 17-21-21;
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com